

# ნაბაღუნო

1-2

140 /  
2002

15



● თამაში - ვიქტორინა პრიზებით

● ტესტი თინეიჯერებისთვის



● უოლტ დისნეის ჯადოქრობის  
100 წელი

● რასაც მხოლოდ დღიურს  
გაანდობდი



● სიცილის  
გაკვეთილი



მარალ ყვულა ჩვერთაზანის ვაღრა!



მუჩან ლეზანიძე

ვაშუღრა!

ეს სოფლები:  
 ეს ლიქოკი, ეს არხოტი,  
 წარიელა ეს პარტახი  
 საიგავო,  
 მეშინია, ეს სამოთხე, ეს  
 ნაღკოტი  
 სხვა არავინ  
 მოვიდეს და დაიკავოს!  
 შქმერს სათიზზე  
 არ დავობენ მეზობლები,  
 ძაღლი არ ჰყეფს,  
 ძაღლი არ ჰყეფს  
 ზარისასოს!

ვაითუ ვინმეს  
 მოენონოს ეს სოფლები,  
 ვაითუ ვინმე  
 მოვიდეს და დაესახლოს!  
 ეს სხიერი,  
 ეს ლიქოკი, ეს არხოტი  
 არ ჩააქრო,  
 არ ჩააქრო! - გაფიწებდი.  
 არ ნაავო,  
 არ ნაავო ეს ნაღკოტი! -  
 დამიხსომე,  
 ასი წლის წინ გეძახოდი,  
 დამიხსომე,  
 განჯღრევი და  
 გაღვიძებდი!



# ნაკადული

საყვანვილო ჟურნალი  
2002 წ. №1-2  
ბამოდის 1926 წლიდან  
ნომრის უინაარსი

15

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ .....	2
რამდენი წახნავი შეიძლება ჰქონდეს ნიჭს (ერთი თქვენგანი) .....	3
როცა გული გულობს .....	4
ჩემი სახელი ახსენე და... (მოთხრობის დასასრული) .....	6
მსოფლიო კიდით კიდემდე .....	11
ქართული წერა .....	2002 წ. 1-9 12
ვიქტორინა – კონკურსი პრიზებით .....	2003 წ. 1-9 16
ჰარი პოტერის სასწაული .....	18
სიკეთისა და სილამაზის შემოქმედი .....	19
მეოცნებე ხარ თუ არა (ტესტი) .....	21
„ოდოშხერი“ .....	22
სიყვარულის დღე (კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი) .....	25
ანა ჯაფარიძე „ფრისტაილიდან“ (იცნობდეთ) .....	26
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა .....	27
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი .....	28
„ჯადოქრობის 100 წელი“ .....	19
სიცილის გაკვეთილი .....	31
შერეკილები .....	32

## რედაქტორი მანანა ბელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ძ. 14  
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.  
ინდექსი: 76157.

ფასი სახელშეკრულაო

რეგისტრირებულია მთავრობის რაიონის სასამართლოში

### იანვარი

წელიწადის პირველ თვეს ქართული ხელი ძველ რომელთა ორსახოვანი ღმერთის იანუსის პატივსაცემად ეწოდა, რომელიც ჟამთა-სვლის და კარის მფარველად, აგრეთვე მოგზაურთა და მებრუნთა ქომაგად, ყოველივეს საწყისის დამლოცველად იყო აღიარებული. გამოსახულებებზე იანუსს ორი – შიგნით და გარეთ მომხი-რალი სახე ჰქონია, ხელთ კი, როგორც კარის, ჭიშკრის, ალაგის დვთაებას გასადები ეპყრა.

იანვარი რომში შემოიღეს




ძველი წელთაღრიცხვის 700 წელს, წლის პირველ თვედაც რომში გამოცხადდა, ძვ. წ. 46 წელს. ძველი რომაელები დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ ყოველი ახალი წლის დადგომას. პირველ იანვარს ღმერთს თეთრ ხარს სწირავდნენ, ივრძალებოდა ყოველგვარი ჩხუბი და აყალმაყალი, ქუჩებსა და მოედნებზე იფინებოდა იანუსის ორსახოვანი გამოსახულებები.

საქართველოში პირველი იანვარი წლის დასაწყისად მეთათე საუკუნიდან იქნა შემოღებული. მანამდე ახალი წელი ჩვენში სექტემბრიდან იწყებოდა. ძველი ქართული წარმართული კალენდრით იანვარს აპანი, აპნისი ერქვა.

თუ ზამთარი, იანვარი, თოვლიანია, ჭირნახულიც კარგი იქნება, ამბობენ: „იანვარი თოვლიანი, მოსავალი გულიანი“.





# ფაქტი

„ნაკადულის“  
საინფორმაციო  
სააგენტო „ფაქტი“



## კანონი გავნე ზეგავლენისგან დასაცავად

2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა კანონი „არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისგან“. შემუშავდება კრიტიკერიუმები, რომლებითაც განისაზღვრება, რამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს ბავშვებზე, რომელი ფილმები და გადაცემები უნდა უჩვენონ მათ.

## სტიპენდიატთა რიცხვი გაიზარდა

კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა 2001 წლის პრეზიდენტის სტიპენდიატთა შეხვედრა ელუარდ შევარდნაძესთან. მას შემდეგ, რაც კონკურსში გამარჯვებულ 100 გამორჩეულად ნიჭიერ ბავშვს თუ ახალგაზრდას სტიპენდიათა გადასცა და მიულოცა, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 2002 წლის სტიპენდიატი მეტი – 150 ბავშვი გახდება და დასძინა, რომ შემდგომში, როდესაც ქვეყნის პირველი პირი სხვა იქნება, თვითონ მაინც გააგრძელებს გამორჩეული ბავშვების დაფინანსებას და ამას ბანკში მის პირად ანგარიშზე მის მიერ მიღებული სხვადასხვა პრემიის და მისი წიგნის ჰონორარით შემოსული თანხებით გააკეთებს. ბატონმა ელუარდმა დაათვალიერა დარბაზის ფოიეში გამოფენილი ნორჩი მხატვრების ნამუშევრები, სტიპენდიატთა სპორტული გამარჯვებების დამადასტურებელი ფილდოები. შეხვედრის დასასრულს დამსწრეთა წინაშე საკუთარი შემოქმედებით პრეზიდენტის სტიპენდიატი მუსიკოსები და მომღერლები წარდგნენ.

## ბავშვთა სახლეუბი ზრუნვით

სულ მალე ამოქმედდება ბავშვთა სახლების რეორგანიზაცია – ოპტიმიზაციის პროგრამა, რომლის მიხედვით შემოწმდება ყველა არსებული ბავშვთა სახლი. ყოველი ასეთი დაწესებულება, სადაც შესაბამისი საცხოვრებელი პირობები არ იქნება, დაიხურება, ბავშვებს კი სხვა სახლებში გადაანაწილებენ. არასრულწლოვანთა სახლებში შეიქმნება ფერმერული მეურნეობები, სადაც ბავშვებიც დასაქმდებიან.

საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ბავშვთა სახლებისა და სარეაბილიტაციო დაწესებულებებისათვის შეიდ მილიონამდე ლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

## კომპიუტერული მოჭადრაკეების

ნორჩი ქართველი მოჭადრაკეების მიერ ბოლო წლებში მოპოვებული გამარჯვებების გათვალისწინებით, ფილემ თბილისის ჭადრაკის სასახლეში კომპიუტერული ცენტრი გახსნა. სასახლემ საჩუქრად მიიღო სამი კომპიუტერი და გერმანული საჭადრაკო საბაზო და სათამაშო პროგრამები, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევს მოჭადრაკეებს შემდგომ დაოსტატებაში.

## თებერვალი

რომაული კალენდრით თებერვალი (ფებრუარიუს) წლის უკანასკნელი თვე იყო და ამიტომ ცოდვათა მონანიების და საყოველთაო განწმენდის უამარ დივლებოდა. თავდაპირველად დიეს ფებრუარიუს (განწმენდის დღე) ერქვა იმ დღესასწაულის პირველ დღეს, რომელიც ველმინდვრების, ტყეების, ჯოგებისა და მწყემსების მფარველი ღვთაების პატივსაცემად იმართებოდა ხოლმე. მოგვიანებით ამ დღის სახელწოდება მიიღო თვემაც. განწმენდის დღესასწაულის დროს საგანგებო რიტუალები სრულდებოდა. ქურუმი ორ ჭაბუკს შუბლზე მიადებდა სამსხვერპლო ცხოველისა თუ ფრინველის სისხლით განბანილ დანას, მერე ამ სისხლს რძეში დასველებული მატყლით მოწმენდნენ. მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავისაგან ქურუმები თასმებს აჭმინდნენ და ამ თასმებით ხელში სალოცავის ირგვლივ დარბოდნენ, თან მლოცველებს გამეტებით სცემდნენ, ისინი კი სიამოვნებით უშვერდნენ ზურგს.

დროთა განმავლობაში სიტყვა „ფებრუარიუს“ ოდნავ შეცვლილი სახით დამკვიდრდა ყველა იმ ერის ლექსიკონში, რომლებიც იულიანურ, შემდგომში კი გრიგორიანულ კალენდარს იყენებდნენ. ძველად ქართველი ხალხი ამ თვეს სურწყუნის ეძახდა.

თებერვალში ინტენსიურად იზრდება დღის ხანგრძლივობა, საგრძნობლად თბება. ბუნება ზამთრის ძილისგან იღვიძებს, ხომ გახსოვთ ქართველი კაცის ნათქვამი: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“...





# რომელიც ნახევრი შეიძლება ჰქონდეს ნიქს

ხუთი წლის იყო ლევანი, როცა მშობლებმა ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლში, ესპერანტოს კლუბ „ფლოროში“ ქალბატონ ლამარა ცუცუქერიძისთან მიიყვანეს და თუმცა დღეს იგი „აიონერფილმის“ წამყვანი მსახიობიც არის, ანსამბლ „ოქტავას“ სოლისტიც, სკოლაშიც უკვე მეთექვსმეტი წელი და მამასადაბე, მთელი დატვირთვით მეცადინეობს, მშობლიურ „ფლოროსა“ და ლამარა მასწავლებელს მაინც არ ივიწყებს, ხალისითა და სიამოვნებით მონაწილეობს კლუბის ყველა ღონისძიებაში.

სწორედ აქ აულვარდა მრავალი წახნავით მისი ნიჭიერება – ლევანი ჩინებული დეკლამატორი და პაროდისტის ოსტატია, შესანიშნავად მღერის და უკრავს ფორტეპიანოზე, სრულყოფილად ფლობს ესპერანტოს, მან ზებირად იცის „კუფხისტაიონის“ 200 სტროფი ქართულად, 8 სტროფი ესპერანტო ენაზე და 5 გერმანულზე, წერს ლექსებს, ცეკვავს და ა.შ. და ა.შ. აქვე, „ფლოროში“ ნახა იგი პირველად მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სტუდია „აიონერფილმის“ უცვლელმა ხელმძღვანელმა ბატონმა გრიგოლ ჩიგოვიძემ. „ფლოროსა“ და „აიონერფილმი“ ტრადიციული მეგობრობა აკავშირებს და აი, მეგობრების მორიგ შეხვედრაზე ბატონმა გრიგოლმა განსაკუთრებით ერთი ბიჭუნა გამოარჩია. გამოცდილ პედაგოგსა და ხელოვანს არც ამჯერად უდალბატა ალდომ. იმ გამორჩეულმა ბიჭმა, ლევან კახიშვილმა სავსებით გაამართალა მასზე დამყარებული იმედები. დღეს 15 წლის ლ. კახიშვილი „აიონერფილმის“ ვარსკვლავია და მისი სახით ამ შესანიშნავ სტუდიას, რომელიც არსებობს 45 წელს ითვისს, ძალზე საინტერესო შემოქმედი შეემატა.

თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო „აიონერფილმს“ დიდად არ უღიხნის, გრიგოლ ჩიგოვიძე და მისი აღსაზრდელები მაინც ახერხებენ ფილმების გადაღებას და როგორც ყოველთვის, ყოველი მათი ნამუშევარი სიუჟეტის ორიგინალური გადაწყვეტით და თანამედროვე თემებზე გაბრუნებული იმპროვიზაციით გამოირჩევა. ამას ემატება გადაღლები ჯგუფის ლამის პროფესიონალიზმამდე მისული ოსტატობა, მსახიობთა ჭეშმარიტი არტისტიზმი და საბოლოო ჯამში ნორჩ ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ შექმნილი თითოეულ ფილმს წარმატება და აღიარება მოაქვს მათთვის.

ასე იყო 2000 წელს მოსკოვში, როდესაც დიდი რუსი პოეტის პუშკინის 200 წლისთავსადმი მიძღვნილი კონფესტივალზე პიონერფილმელებმა „ოქროს თევზისა და მებადურის“ ზღაპარი აჩვენეს. ფილმში მთავარ როლს ლევან კახიშვილი ასრულებდა (სხვათა შორის, ბავშვებმა ფილმში ერთ-ერთი მქორეზარისსხოვანი როლის შესრულებათ ლევანის მამა, ეკონომიკური ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი ჯუმბერ კახიშვილი დაითანხმეს, რომელიც მუდღესთან, ქალბატონ ეკასთან ერთად ყოველმხრივ უწყობს ხელს შეიღოს). პატარა ქართველი კინემატოგრაფისტების ამ ნამუშევარმა, რომელშიც ადვილად ამოიცნობა თანამედროვეობის სუ-

ლისკვეთება და პრობლემატიკა, დიდი მოწონება დაიმსახურა და დიდად პატივცემულმა ყოვრიმ სწორედ მას მიანიჭა ფესტივალის გრან-პრი. აბა რა კინემატოგრაფისტები იქნებოდნენ პიონერფილმელები, ეს მოვლენა ფირზე რომ არ აღებუჭდათ და სტუდიისათვის აწ უკვე ისტორიული ეს კადრები თვალნათლივ ასახავენ „ოქროს თევზისა და მებადურის“ შემქმნელთა და კერძოდ, მთავარი როლის შემსრულებლის მოსკოვურ ტრიუმფს. მებადური – ლევან კახიშვილი



ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა იყო ფესტივალზე. იგი მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა ავტოგრაფებს, იღებდა მილოცვებს, ყველასთან ერთად ცეკვავდა და მღეროდა, კითხულობდა პუშკინის ლექსებს. დიდი წარმატება ხვდა წილად ამავე ფილმს ორგანიზაცია „უნივას“ მიერ მოწოდებულ ჩვენებაზე ჰოლანდიაში, სადაც მან ასევე გრან-პრი დაიმსახურა.

მთავარი როლი შეასრულა ლევანმა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის კინოსტუდიაში შექმნილ კიდევ ერთ ბოლოდროინდელ ფილმში. ეს გახლავთ პოლონური ლიტერატურის კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის პოემის მიხედვით გადაღებული „პანიჩი და მწყემსი გოგონა“, რომელიც პიონერფილმელებმა პოლონეთში გამართულ მიყვარულთა XVIII კინოფესტივალზე წარადგინეს. ნორჩი ქართველი კინემატოგრაფისტები ამ ფესტივალში ტრადიციულად მონაწილეობენ და მათგან ასევე ტრადიციულად მოვლიან საინტერესო და ორიგინალურ შემოქმედებას, მაგარად უნდა ითქვას, რომ ამჯერად მათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. პოლონელი მაყურებელი მქუხარე ოვაციებით და მოწონების შეძახილებით შეხვდა ეკა დოლიძის მწყემს გოგონას, ლევან კახიშვილის პანიჩს და თქმურ მყავის ადამ მიცკევიჩს. პოლონელები მათ მშობლიურ ენაზე ამტყველებდნენ ნორჩ ქართველ მსახიობებს და მათ ფილმს უფრო კარტუშე-

მატიკირობდნენ ვიდრე თავიანთ თანამემამულეებს, მერე კი ცრემლმორეულები ულოცავდნენ მათ გამარჯვებას. „პანიჩი და მწყემსი გოგონა“ 24 ქვეყნის ნორჩ კინემატოგრაფისტთა მიერ წარმოდგენილ ფილმებს შორის 13 წლამდე ასაკის კატეგორიაში პირველი ადგილი და მთავარი პრიზი დაიმსახურა, მილიანად ფესტივალზე კი მეორე ადგილი მოიპოვა.

ორივე ამ ფილმის წარმატებაში უთუოდ დიდი წვლილი მიუძღვის ლევან კახიშვილს, რომელიც ორივე შემთხვევაში საოცრად ზუსტად ჩასწვდა ძირითად ჩანაფიქრს. ლევანმა სულ ადვილად გაითავისა შესაქმნელი მხატვრული სახეები და პროფესიული არტისტიზმით შეასრულა მებადურის როლიც და პანიჩისაც, არც ერთი არაბუნებრივი მოძრაობა, არც ერთი ვაღბი ინტონაცია, ზედმიწევნით ზუსტად გააზრებული და წარმოდგენილი გეოტექსტული მომენტები, პარტინორთან შეთანამშობა, პირობითობის აღქმა-გაცნობიერება – ასეთია ამ ფილმში მსახიობი ლევან კახიშვილი.

ეს ყველაფერი 2000 წელს მოხდა. გასული წლის მიწურულს, ნოემბერში თბილისში გამართულ კინოფესტივალზე კი ლევან კახიშვილმა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის თასი და დიპლომი დაიმსახურა, ხოლო ოდნავ ადრე, ივნისში, იტალიის ქალაქ ბელინჯიში გამართულ ხალხური სიმღერების ფესტივალზე ლაურეატის წოდება მოიპოვა.

„აიონერფილმში“ დასაბამიდან არსებობს ერთი ასეთი ლამაზი ტრადიცია – თავიანთ გამორჩეულ თანამოსაქმეებს სტუდიელები შემოქმედებით საღამოს უწყობენ. ხოლმე, ასეთად მიიჩნევენ ბატონმა გრიგოლ ჩიგოვიძემ და მისმა მოსწავლეებმა თბილისის პირველი გიმნაზიის მეთაველასელი ლევან კახიშვილი, რომელსაც გასული წლის მიწურულს მოუწყვეს ამგვარი საღამო. ეს იყო ნორჩი შემოქმედის მრავალმხრივი ნიჭის დემონსტრირების და აღიარება-დაფასების საღამო. მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის თეატრალური დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ლევანის მეგობრები, ამხანაგები, მასწავლებლები. ლევანიც მათთან ერთად მღეროდა, ცეკვავდა, კითხულობდა საკუთარ ლექსებს, უკრავდა ფორტეპიანოზე, ხუმრობდა. კიდევ ერთხელ დაიბრწყინა თავისი შემოქმედებით „ფლოროში“ თავის ხელმძღვანელთან, ლევანის დამკვალთანებელთან, დიდებულ ქალბატონ ლამარა ცუცუქერიძესთან ერთად. საუცხოოდ წარსდგა მსმენელის წინაშე ანსამბლი „ოქტავა“.

რაღა თქმა უნდა, აჩვენეს „ოქროს თევზი და მებადურიც“, „მწყემსი გოგონა და პანიჩიც“ და მოსკოვში პუშკინის იუბილის დღეებში გადაღებული დოკუმენტური ფილმიც, რითაც საღამოზე დამსწრეთ შესამდებლობა მიეცათ დარწმუნებულებიყვნენ, რომ პიონერფილმელებმა და კერძოდ, ლევან კახიშვილმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვებები სართაშორისო კონოჩვენებებზე. მილიანად კი ამ საღამომ ცხადლივ აჩვენა, რომ ლევან კახიშვილის სახით მეტად საინტერესო, ორიგინალური და მრავალმხრივი შემოქმედი იზრდება.

2007

დასამახსოვრებელი სახელები  
 ე. ბ. მ. შ. ლ. ი.  
 ა. ბ. მ. შ. ლ. ი.



## ნარმოვიდგანთ მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ზონა თვარაძეს.

დაამთავრა ქუთაისის მე-საშუალო სკოლა. დამთავრებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობით ფილოლოგი ვაზლავთ. მოღვაწეობა პიონერხელმძღვანელობით დაიწყო, იყო სკოლის დირექტორის მოადგილე, 1987 წელს კი კონკურსში გაიმარჯვა და კოლექტივმა დირექტორად აირჩია. მას შემდეგ თავდადებით, საქმის ცოდნით და არჩეული საქმიანობის დიდი მნიშვნელობის შეგნებით ემსახურება მოსწავლე ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის საქმეს. ამასთან ქალბატონი ზონა მცხეთის რაიონის საკრებულოს მდივანი, დაბა ზაჰესის საკრებულოს დეპუტატი და რაიონის მეთოდცენტრის წამგვანი სპეციალისტიც ვაზლავთ. პრინციპული, მკაცრი და იმპედროულად გულისხმეირი, სამართლიანი, ენერგიული – ასეთ ადამიანის ავტორიტეტით სარგებლობს ქალბატონი ზონა თვარაძე არა მარტო დაბა ზაჰესში, არამედ მთელ მცხეთის რაიონში. 1998 წელს ზაჰესის საშუალო სკოლის დირექტორი ზონა თვარაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

განათლებული, შრომისმოყვარე, ზნესრული მოქალაქეების აღზრდას ემსახურება მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის საშუალო სკოლა იმ თავით ამ თავამდე. 70 წლის მანძილზე აქ დაფრთიანებულია თაობები შექმნეს. რამდენ ადამიანს გაახსენდება მშობლიური სკოლა, როცა ცხოვრების დიდ გზაზე გასულს იქ მიღებული ცოდნა სავალს გაუნათებს, როცა მასწავლებლის მიერ ამ გზასავალზე საგზლად გამოტანებული უნარ-ჩვევები საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში, სამშობლოსათვის სამსახურად მზადყოფნაში დაეხმარება!

ზაჰესის საშუალო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა მცხეთის რაიონში და რალა თქმა უნდა, ეს უწინარესად პედაგოგიური კოლექტივის და მისი ხელმძღვანელის ქალბატონ ზონა თვარაძის დამსახურებაა. სკოლის დირექტორი თავად ვაზლავთ საქმისთვის თავდადების, ენერგიულობის, პრინციპულობის და გულისხმიერების მაგალითი თითოეული მასწავლებლისთვის, და აქედან გამომდინარე, მათ უბრალოდ უფლება არა აქვთ მხარი არ აუბან მას.

სკოლის ისტორიას 70 წლის წინათ გა-



სკოლის დირექტორი ქ-ნი ზონა თვარაძე

სწილ სამკლასიან სკოლამდე მივყავართ. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) პირველი რიგი 1927 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, მოგვიანებით კი ადგილობრივი მოსახლეობის თაოსნობით გადაწყდა ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ მორჩენილ-მიმოფა-

ნტული საშენი მასალების გამოყენება დაბისთვის ყველაზე საჭირო ობიექტების ასაგებად. ერთ-ერთ ასეთ ობიექტად უწინარესდა სკოლა იქნა მიჩნეული და მოკლე დროში ზაჰესელთა მონადინებითა და ძალისხმევით აიგო მომცრო შენობა დანყებითი სამკლასიანი სასწავლებლისთვის, ხოლო 1931 წლის 1 სექტემბერს აქ პირველი ზარიც აწვრიალდა. 1938 წელს პატარა სკოლაში ორი კლას-კომპლექტი – პირველი-მესამე და მეორე-მეოთხე კლასები იყო და მას უკვე დანყებითი ეწოდება. წამოიზარდნენ ზაჰესელი გოგო-ბიჭები, დაამთავრეს ოთხი



კლასი და პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ – ძალიან შორი იყო ავჭალის სკოლამდე, სადაც სწავლის გასაგრძელებლად უნდა ევლოთ, შესატყვისი ასაკის მოსწავლეთა რაოდენობა შორს იყო იმ დადგენილი ნორმებისაგან, რომელთა საფუძველზეც იხსნე-



ბოდა იმხანად რვანლიანი სკოლები. მაგრამ ჰიდროელექტროსადგურის მაშინდელმა დირექტორმა ბატონმა ალექსანდრე ხეთაგურმა მაინც მიაღწია მიზანს, მისი დიდი ძალისხმევით წყალობით დაბამ რვანლიანი სკოლა მიიღო. მოგვიანებით, 1974 წელს, ზაჰესელეებს საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა გადაეცათ საჩუქრად. დრომ, ახალმა ამოცანებმა და მიზნებმა სკოლის გაფართოება მოითხოვეს და არსებულ კორპუსს ახალი მიუშენდა. დღეს ზაჰესის საშუალო სკოლის 32 კლასში 900-მდე მოსწავლეა, ხოლო მათი აღზრდა-განათლების საქმეს 70 მასწავლებელი ემსახურება.

გადააბიჯებთ თუ არა სკოლის ზღვრებს, უმაღლესობით, რომ აქ წესრიგი და საქმიანი ატმოსფერო სუფევს – გაცრიანებული დერეფნები და საკლასო ოთახები, ლამაზად გაფორმებული თემატური სტენდები, სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტები და თქვენ წარმოიდგინეთ, მუდმივი განა-



თება და სიტბო. ყოველივე ეს კი დიდად უწყობს ხელს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას. დირექტორს ენთუზიზმით აღსავსე და საქმის ერთგული კოლექტივი უმაგრებს მხარს. ნატო რაზმაძის, მაგული ჭანტურიას, ნანა კომლაძის, მარინე სუხიშვილის, ნინო ლალიაშვილის, ციციანო ლიპარტიას, ლამარა ვარამაშვილის, ომარ ბიბილურის, მზია თოდუას, მანანა მელქონაშვილის, ნათელა ჭოლაძის, ციციანო ადეიშვილის, მანანა ჩოხელის, ქეთინო გონგლაძის, მზია დვალის და სხვათა სახით სკოლის ხელმძღვანელს საიმედო საყრდენი ძალა ჰყავს, ყველანი ერთად კი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულნი უზრდიან ქვეყანას მოქალაქეებს, რომლებმაც სვალ თუ ზეგ მასზე ზრუნვა უნდა იტვირთონ.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს აქ ერთხელ კარგად აწყობილი საქმე დღეს თავისით, ინერციით მიედინებოდეს, არანაირი პრობლემა არ ჰქონდეთ. საზრუნავს რა გამოილევს, მეტადრე ახლა, საერთო შეჭირვების პირობებში, მაგრამ ავი ნათქვამია, თუ გული გულობსო, და ზაჰესის სკოლის პედაგოგიური



**დირექტორის მოადგილე ქ-ნი ნატო რაზმაძე**

კოლექტივიც ყველა სიძნელეს სძლევს. რაკი ხედავენ, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ცდას არ აკლებს, ოღონდ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შესაბამის დონეზე მიმდინარეობდეს, მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობა, პირადად რაიონის განათლების განყოფილების გამგე უშანგი ხარშილაძე ნიადაგ მხარში უდგანან მას და მრავალი საჭირობოროტო საკითხის მოგვარებაში ეხმარებიან. მხარში უდგას სკოლის კოლექტივს შპს „ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის“ დირექტორი ბატონი თემურ ჩხეიძეც, რომლის წყალობითაც სკოლას მუდმივად მიენოდება ელექტროენერგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს ყოველთვის აქვთ სინათლეც და გათბობაც.

სკოლაში საგნობრივი წრეებიც მოქმედებს, ჩამოყალიბებულია ქართული ცეკვის ანსამბლი „არმაზი“ (ხელმძღვანელი ბატონი ალექსანდრე ნერეთელი), რომელიც მრავალი დიპლომისა და პრიზის მფლობელია. სწორედ „არმაზი“ ხსნის ყოველ წელს ნადს მცხეთობის დღესასწაულს.

სკოლის მტკიცე და მეგობრულ ოჯახად შეკრული პედაგოგიური დღენიადაგ იმაზე ზრუნავს, ქვეყნისთვის, ხალხისთვის საჭირო და საიმედო ადამიანები აღზარდოს, მოქალაქეობრივი რწმენა და პოზიცია გამოუშუშაოს მათ და უნდა ითქვას, რომ სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა ამართლებს აღმზრდელ მასწავლებელთა ამბავს. ზაჰესის სკოლის აღზრდილები – პედაგოგები, იურისტები, ექიმები, ეკონომისტები დღეს საქართველოს ასაღორძინებლად იღწვიან და უეჭველია მომავალშიც თავდადებით იღვანებენ.



მანანა გელაშვილი

ქოთხიოჭა

მხატვარი  
კარლო ფაჩულია

– სულელი ხარ, სიღ! ნეტავ, რა ცხვირს უბზუებ, რა აქვს გეგას შენი დასაწუნი? შესახედადაც მაგარი ბიჭია, ნაღდი ალენ დელონია... ინსტიტუტშიც ეგრევე დაჯდება, მამამისის გაკრიალებული „მერსედესიც“ ორსამ წელიწადში მაგისი იქნება და ყველაფერი... მე რომ შენს ადგილას ვიყო!.. – უთხრა ერთხელაც დიდი ხნის სათქმელი თამთამ, როცა ოსიკოს დაბადების დღიდან ბრუნდებოდნენ. იმ საღამოს გეგას ზედმეტი ყურადღებით გაბეზრებულმა სიღონიმ პირდაპირ მიახალა, კარგი რა, თავი გამანებე, ნუ დამლალო.

– გითმობ ჩემს ადგილს... მე არც ალენ დელონი მომწონს მაინცდამაინც და ყველაზე ჯაგლაგა ცხენიც კი მიჩნევენია ნებისმიერ მანქანას...

– რა უნდა გელაპარაკო?! – ხელი ჩაიჭნია კლასის ინტორბიუროს პრეზიდენტმა – თემურიმ მონათლა ასე – და დაუმატა: – იცი, რას ამბობენ, თურმე, დედაშენზე ნაცნობ-მეზობლებიც და თანამშრომლებიც? ამ ქვეყნისა არ არის, ნეტარიო, ჰოდა შენც ხომ დედაშენის შვილი ხარ და რა გასაკვირია, – აშკარად გასამწარებლად უთხრა.

– კი, გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, – გაიცინა სიღონიმ და კიდევ ერთხელ აფიქრებინა ამხანაგს, სულელიაო.

სიღონის ეგონა, იმ საღამოს მერე მაინც მოსვენებდა გეგა, გულს ადარ შეუწუხებდა მუდამ გვერდით ყოფნით, მაგრამ შეცდა.

– მამა, არ გამოჩენილა? აუჰ, დე, მგელივით მშია... მუსიკაზე არა ვყოფილვარ. მე და თაყა სარდლიშვილი საგურამოში ვიყავით, ჩიტები გავაფრინეთ... ნუ გეშინია, ვისადილებ და ვიმეცადინებ... – სიტყვის თქმა აღარ დააცალა დედას, ისე მიაყარა სიღონიმ, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა.

– გადარეული ხარ, შვილო, არ ვიცი, რა გეშეულება... რა დროს საგურამო იყო? მუსიკა ხომ გაცდინე და გააცდინე, იმ ბავშვს რაღას ერჩოდი? თუ კინოში წასასვლელად იყავით შეთანხმებულები, რას აყურყუტე მთელი დღე? გეგამ ლამის აქ დააღამა...

– ნუ დაადამებდა რა, მე ვუთხარი თუ?!

– აბა რა ლაპარაკია ახლა ეგ?

– რა ლაპარაკია და დავიდალე, დე, გეგასგან, მადი-ზიანებს, არ მომწონს და რა ვქნა?

– კარგი, კარგი... ნელა ჭამე, ნელა, ნუ მიიყარე! სარდლიშვილი რომელიდაა, ახალი მოსწავლე გადმოვიდაო, რომ მითხარი, ის არის?

– ჰო, დე, და, იცი, რა კარგი ბიჭი ყოფილა? დროდრო თურმე ჩიტებს ყიდულობს და მერე ათავისუფლებს... არა, მარტო მაგიტომ კი არ არის კარგი ბიჭი, საერთოდ... შემთხვევით შევხვდი ავტობუსში და გავყვი, თვითონაც არ ვიცი, რატომ... – ჩაიცინა სიღონიმ, – იცი, ერთი ჩიტი მეც გაუშვი, ჩხიკვი... და, მგონი იმ წუთში მე უფრო ბუნდური ვიყავი, ვიდრე თვითონ ის ზაქარა – ჩხიკვი...

მართლაც კეთილსინდისიერად იმეცადინა სიღონიმ იმ საღამოს. რატომ შვიდჯერ კი არ დაუკრა ერთი და იგივე პიესა თავიდან ბოლომდე, ხოლო ზოგიერთი პასაჟი ბარემ ათჯერ გაიმეორა.

– თუ ტყე-ტყე სიარული ასე გაგაბეჯითებს, ყოველდღე წადი ხოლმე – გაუცინა დედამ, როცა სიქაგაცილი სიღონი თავისი ოთახიდან გამოვიდა.

– არა, დე, იცი რა? როგორ გითხრა... იცი, რაღაც უჩვეულო სიამოვნებით ვუკრავდი... უბრალოდ, რაღაცნაირად თითქოს მთელი არსებით ვგრძნობდი ნაწარმოებს და ალბათ იმიტომ... არ ვიცი, შეიძლება მართლაც ტყე-ტყე სიარულმა მარგო, – ეშმაკურად მოწკურა თვალები, – აფსუს, რომ კონცერტამდე ვეღარ მოვასწრებ, თორემ...

თავი კალთაში ჩაუდო დედას და ხელები დაუკოცნა. ბავშვობიდან ჰქონდა ასეთი ჩვევა – როცა მოფერება უნდოდა, ხელებს უკოცნიდა, ლამაზი და ჭკვიანი ხელები გაქვსო, ეუბნებოდა.

დედამ საქსოვი გვერდზე გადადო და თმაზე ხელი ჩამოუსვა.

– რამხელა გოგო გამეზარდე, სიღო! ცოტა და, გამიფრინდები, და დავრჩები მარტო.

– მარტო რატომ? მამა?!

– ჰო, არა... რა თქმა უნდა, მე და მამა, – დაიბნა დედა.


– რა აუცილებელია, დე, სულაც არ გავთხოვდები და შენთან... თქვენთან დავრჩები.

– სისულელეს ნუ ამბობ, რად მინდისარ აქ შინაბერა? კიდევ უნდა გათხოვდე და ბევრი შვილიც უნდა იყოლიო... მოდი, შენ ახლა ჩაი აადუღე ლამაზად, დავლიოთ და დავიძინოთ, თორემ ძალიან დავიდალე, სარეცხმა ბოლო მომიღო.

– დაუთოებაში მე მოგეხმარები, ხომ იცი, როგორ მიყვარს უთოობა.

– იმდენი შენ რა გითხარი! ისე, კარგს იზამ, გენაცვალე, თორემ დამრჩება და დამრჩება ეგრე, დანამე არ დაგავიწყდეს, ამაღამვე დანამე.





დლით ადრე წამოფრინდა სიდონი, იფიქრა, ნაწილს ახლა დაგაუთოებ, დანარჩენს კი საღამოთიო, მაგრამ შეჰყვია, ბარემ ამ ზეწარსაც გავაუთოებო, ბარემ ამ ბაღის პირებსაც გავუხვამო, მამას პერანგსაც გავატყობინებო და ამასობაში ცხრის ნახევარიც გახდა. ფათიფუთით ისაუზმა და სკოლაში გავარდა. ერთი ფეხით შეასწრო ფიზიკის მასწავლებელს გაკვეთილზე. კლასს თვალი მოავლო, თავაც მოძებნა. გაუღიმა და ხელის აწევით მიესალმა. მაიკო და თამთა უმაღლესი კლასის სწავლებლებმა მხერა გააყოლეს ამხანაგს. ოჰო! აქ რაღაც ამბავიაო, - მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ჯერ ერთმანეთს, მერე გეგასაც. იმასაც წარბები შეეყარა და დაუფარავი ბოლოთი უყურებდა თავას.

- რაღაც მოხდება, ნახე, თუ არა! - იდაყვი წაჰკრა დაქალს თამთამ. ერთი სული ჰქონდათ, როდის დაირეკებოდა ზარი, წამლაუსწმ საათს დაჰყურებდნენ. ზარიც დაირეკა, კლასი ხმაურით აიშალა. თითქმის ყველა დერეფანში გაიკრიფა.

- დედა ხომ არ გაგიჯავრდა? - ღიმილით მიუახლოვდა თავა სიდონის.

- არა, იმდენი ვიმეცადინე, ესე მითხრა, ხშირად იარე ტყე-ტყე, თუ ასე გაბეჯითდებიო.

- მაგას რა ჯობია... ჩვენც ავდგეთ და ვიარათ...

მეცხრე „ა“-ს ინტორბიურო გამალებით ამუშავდა: ჯერ კიდევ შაბათს ეს ბაიყუშა თავა და ვიღაც, თავის მერხს არ გასცილებია. იჯდა ბუკნაპოტივით და ცხვირპირზე ზეთები ჩამოსდიოდა, არავის გაჰკარებია, არც სიდს და არც სხვა ვინმეს. ერთი-ორჯერ ოსიგოს გადაულაპარაკა რაღაც, ეგ იყო და ეგ... მაშ რაშია საქმე? სიღმა გაკვეთილზე დაიგვიანა, მაშასადამე, ამ დილით ვერ ნახავდნენ ერთმანეთს... გამოდის, რომ გუშინ, კვირას იყვნენ ერთად... ჰო, ეს კი რაღაცას ნიშნავს... გეგა სადღა? აგერ ყოფილა...

- რაღაც მგონი, შენმა დელოფალმა უცხო უფლისწული მოიწონა ა?! - თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაულაპარაკა მაიკომ წარბებშეკრულ გეგას, - არ გაგიკვირდეს, სულ ძალე ქეთოს არია რომ გიმდეროს - „მე სხვა მიყვარსო“...

- შენი საქმე არ არის! - შეუღრინა ბიჭმა. - ყველაფერში ცხვირს ნუ ყოფ, გაიგე?!

- კი ბატონო, შენ საქმეა და იმასაც ვნახავთ, როგორ გაართმევ თავს! - გაკაპასდა მაიკო.

- რას იტყვი, ოსიგო, მგონი შენმა მეზობელმა პაგანინის დაადგა თვალი? - თამთა სხვა ფრონტზე მუშაობდა ენით.

- ჰო, ჰო, გამოაბით ახლა კულები! ვინმეს ხომ უნდა დაელაპარაკოს კაცი! - შეუტია ოსიგომ.

- ვინმეს - კი... - გესლიანად ჩაილაპარაკა პრეზიდენტმა.

გაკვეთილების შემდეგაც რომ ერთად გაუდგნენ გზას თავა და სიდონი, მაშინ კი ველარ მოითმინა გეგამ, ნაბიჯს აუჩქარა, წამოეწია, განგებ ძლიერად გაჰკრა თავას მხარი, ერთი შეუბღვირა, წესიერად ვერ გაივლიო, იქით შეუტია და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. მიხვდა თავა, რომ ეს გამოწვევა იყო, მაგრამ არ

შეიმჩნია. სიდონიც მიხვდა, არ ესაიძვნა გეგას გამოხედვა, იგრძნო, რომ ეს მომავალი კონფლიქტის დასაწყისი იყო.

კონფლიქტმა მართლაც არ დააყოვნა.

მუსიკალური სასწავლებლის მყუდრო საკონცერტო დარბაზი უკვე სავსე იყო. თავამ შუა რიგში განაპირა თავისუფალი სკამი დალანდა და ჩამოჯდა. ჯერ სცენას გახედა, მერე დარბაზი მოათვალიერა, მესამე რიგში თანაკლასელები შენიშნა - თამუნა, მერაბი, თემური, ოსიგო, თამთა, მაია და გეგა... გეგა წრიალებდა, ძალიძალ წამოდგებოდა და მსმენელებს ათვალიერებდა, აშკარად ვიღაცას ეძებდა. კიდევაც იპოვა, თავაზე შეაჩერა მხერა და უსიამოვნოდ აიჯავრა - ეგრეც ვიცოდითო...

კონცერტი უმცროსკლასელებმა გახსნეს. საოცარი სერიოზულობით უკრავდა თითოეული მათგანი, მაღლობაც დიდი ღირსებით გადაუხადეს მსმენელებს თავმეკავებული რევერანსით. თავას გაეცინა. მერე კისერწაწვრილებულმა ბიჭმა შეასრულა შოსტაკოვიჩი და სიდონის ჯერიც მოვიდა. სწორი შავი კაბა ეცვა, თეთრი ნაქარგი საყვლოთი გამოცოცხლებული. ძალიან უხდებოდა. მსმენელებს თავი დაუკრა და ვიდრე ვიოლინოს მოიმარჯვებდა, დარბაზს გადახედა. „საოცარია! - თვითონვე გაუკვირდა, - რაღა მაინცდამაინც თავა დავინახე პირველი? - აუჰ, ახლა რომ მართლა შევრცხვე და თავი მომეჭრას!“ - ჩაიღიმა. მერე დედაც დაინახა, ამხანაგებიც, დაკოპილი გეგაც... „ეტყობა, მამა კიდევ არ ჩამოსულა, თორემ მოვიდოდა... ადრე არც ერთ ჩემს კონცერტს არ აკლდებოდა... ჰო, ადრე... ბოლო დროს კი...“


ხან ლირიული და სევდიანი იყო სიდონის ხელში ვიოლინო, ხან თავდავიწყებით კისკასი და აღმტაცო, ნაირ-ნაირ სურათებს უხატავდა თავას თვალწინ. აი, წვიმიანი შემოდგომის დღე და ფოთლებგამარცვული ეული ალვის ხე... უკიდვანო ველზე გარინდებული ნაღვლიანი ბებერი თეთრი ცხენი... ბუჩქებში მოკიაფე ციცინათელების გუნდი... მალლიდან კისრისტეხით წამოსული ნაკადული... მერე კიდევ ერთი სურათი დაინახა - სოსნისფრად მოლივლივე მინდორში სიდონი გარბის, თეთრი კაბა აცვია, კისერი უკან გადაუგდია, იცინის და გარბის, მზისფერი თმის ტვერი უღელავს, თავს ჩიტების გუნდი ახვევია და გარბის, თავა მისდევს და ვერ ეწევა...

„ლამაზია სიდონი, ძალიან ლამაზია“... თვალეები დახუჭა თავამ და უმაღლე გაახილა. სიდონის დაკვრა დაემთავრებინა.

- ვაიმე, ისევ მარტო თავას ვხედავ! - შეკრთა სიდო და ახლა დედას დაუწყო გამალებით ძებნა. დედა მშვიდად უღიმიოდა. თანაკლასელებიც მოძებნა. აღტაცებულები უკრავდნენ ტაშს. მარტო გეგა იჯდა გაქვავებული. სიდონის შემდეგ კიდევ ორმა გოგომ დაუკრა და კონცერტი დამთავრდა. თავა ლამის ყველაზე ბოლოს გავიდა დარბაზიდან. სიდონია, დედამისი და რამდენიმე ამხანაგი ჭადრის ქვეშ იდგნენ.

- მაესტრო, ნება მიბოძეთ, ქალაქის მთელი საზოგადოების სახელით მაღლობა მოგასხენოთ მონიჭებული





ლბატონმა ტასიკომ თაყას.

– მეც წავედი, – კუმტად გამოსცრა გეგამ. სიღონი შეერთა, გულმა უფო, ოსიკოს გადახედა.

– თემო, ჩვენც წავედით არა? – უმაღ მიუხედა ბიჭი ამხანაგს და ძმაკაცს უბიძგა. გეგას აედევნენ. მალე წამოეწივნენ.

– სახლში მიდიხარ? – ჰკითხა ოსიკომ.

– ჰო, მაგრამ... ჯერ იმ ვაჭბატონს უნდა ვუთხრა რამდენიმე ტკბილი სიტყვა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– მოიცა, რა გეგა... რად გინდა... – წამოიწყო თემურმა.

– რად მინდა კი არა... კბილებს ხელში დავაჭვრინებ.

– რას იბოლმები, იქნებ არ იცის, რომ შენ სიდი... – ახლა ოსიკომ სცადა ამხანაგის დამშვიდება.

– მოიცა, თუ ძმა ხარ, რა არ იცის... – ბიჭო, ე! – სკვერთან წამოეწივნენ თაყას, – შენ გეუბნები, არ გესმის?!  
თაყა შედგა და შემობრუნდა. გეგა

სიამოვნებისთვის – ლანზლანდარობდა თემური. – თქვენ ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი ბრძანდებით და... კვლავაც თქვენს მხურვალე თავყანსმცემლად გვიგულეთ ყველანი. უნდა მოგახსენოთ, რომ...

– მორჩი! – მხარი გაჰკრა გეგამ.

– აცალე, ბიჭო, რა მოგივიდა?! – გამოექომაგა ამხანაგს ლაშა. გეგამ ახლა იმას წაჰკრა მუჯღლუგუნი. თაყას დანახვაზე თემურმა ისევ განაგრძო:

– მაესტროს თავყანსმცემლებს ბოლო არ უჩანს, მოდიან და მოდიან. აი, ბატონო, თაყა სარდლიშვილიც მოეხლა, უთუოდ მოსალოცად და მადლობის სათქმელად. მობრძანდით, ბატონო თაყა!

– საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო! – აიტაცა თანაკლასელის ტონი თაყამ. – გილოცავთ, მაესტრო! – ქურთუკის უბეში ხელი ჩაიყო, კესანეს კოწია კონა ამოიღო და სიღონის გაუწოდა.

– გმადლობ, – სიღონის სახეზე სიწითლემ გადაურბინა.

– აკი თავი მომეჭრებაო? – გაუღიმა თაყამ.

– დე, ეს თაყა სარდლიშვილია...

თამთამ მაიკოს მკლავზე უჩქმიტა და გეგასკენ მიახედა. ბრანისაგან ყვრიმალეები აუღ-ჩაუდიოდა, ნესტოები დაბერვოდა და თაყას მიჩერებული თვალებიც ავად უელავდა.

– ახლა კი ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ, იმეღია, მომიტყევებთ, – წასასვლელად მოემზადა თაყა.

– ოჰ, გვტოვებთ, ბატონო თაყა? – გააგრძელა თამამი თემურმა.

– დიდად ენანობ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს... კიდევ ერთხელ ვთხოვთ მომიტყევოთ... – ბოლოს სიღონის ხელი აუწია, წავედიო და წავიდა.

– მართლა კარგი ბიჭი ყოფილა, – დაადევნა ქა-

ჯიქურ მიუახლოვდა.

– იცოდე, ერთხელ და სამუდამოდ გაფრთხილებ, იმ გოგოს სიახლოვესაც კი რომ დაგინახო... მერე რაც მოგივა, შენ თავს დააბრალებ, გაიგე? მე არ ვიცი, ჩვენს სკოლაში რატომ გადმოხვედი, ის კი ნაღდი მეცოდინება, ჩვენგან რისთვის გადახვალ, გაიგე?! – ცხივრწინ აუტრიალა ღონიერი მუშტი.

თაყამ გვერდული ღიმილით დახედა იმ მუშტს, ხელები ჯიბეებში ჩაიყო და მშვიდად განაგრძო გზა. გეგა უარესად დაიბოლმა, თავისივე მუშტი შეათვალიერა, თითქოს შეამოწმა, მართლა თაყას დასაცინი, პატარა და უძლური ხომ არა მაქვსო, და გაიფიქრა, რომ ამ გამხდარი, აწოწილი ბიჭის ყბებისთვის მისწრება იქნებოდა კარატეს დარბაზში ნავარჯიშები ეს მუშტი, და დამშვიდა.

ღილით სიღონი ლამის ყველაზე ადრე მივიდა სკოლაში. წრიალებდა, ვერ ისვენებდა. მერაბიც მივიდა, თამუნაც, ლაშაც, ერეკლეც... ჰო, აი, ოსიკოც შემოვიდა კლასში.

„მოხდა რამე“? – თვალებით დაეკითხა სიღონი. არაო, თვალებითვე ანიშნა იმან, მშვიდად იყავი. – All right ჩაუნიგლისურა შემოსულმა თემურმა და სიღონი საბოლოოდ დაწყნარდა. მერე გეგაც მოვიდა. სიღონიმ თვალი აარიდა. როგორც იქნა, თაყაც გამოჩნდა.

– გაუმარჯოს! – ხელი აუწია, გაუღიმა და პირდაპირ მისი მერხისკენ წავიდა. – როგორა ხარ?

– უხ! – კბილები გააღრჭიალა გეგამ.

– დღეს კი ნამდვილად მოხდება რაღაც! მითუქტეს, რომ გუმინ უკვე დაწყებულია, – ამუშავდა ინჭორბიუროს ტელეტიპი.

იმ დღეს მართლაც მოხდა რაღაც.

„გაკვეთილების შემდეგ სკოლის უკან გელოდები.“





ხომ გაიგე?!“ – თაყას გეგას ხელით დაწერილი ბართათი ეჭირა ხელში. „გაიგე“, – მოკლედ მიაწერა ქვეშ და ოსიგოს ხელით გადასცა პასუხი.

სკოლის უკან, პატარა-პატარა კერძო სახლებს შორის, ერთი მყუდრო ადგილი იყო შემორჩენილი. იქ ვარჯიშობდნენ სკოლის დამწყები მწვევლები სიგარეტის ქანკაში, იქ მიყრილ ძველ მერხებში მალავდნენ ოროსნები დლიურებს. იქვე ასწორებდნენ ანგარიშებს სხვადასხვა მიზეზით მოძიდილავე ბიჭები. თაყა და გეგაც იქ შეხვდნენ ერთმანეთს. ოსიგო და თემური შორიასლოს იდგნენ.

– ბიჭო, მე შენ რა გითხარი? თუ ადრეული სკლეროზი გჭირს?! – მხარი მკერდში ატაკა გეგამ. – ხომ არ გინდა, სახის ფერი ლურჯით შეგიცვალო?!

– არა, მე ეს ფერი მიჩვენია, შავგვრემანი! – არ შეეპუა თაყა და გეგას მხარს გაქვევებული მკერდი დაახვედრა.

თემურმა და ოსიგომ ერთმანეთს გადახედეს და ნაბიჯი წინ წადგეს.

– ბიჭო! – მარჯვენა მოუქნია გადარეულმა გეგამ, მაგრამ თაყამ შუა გზაზე გაუშემა ის მარჯვენა.

– ამას ვერ უყურებ?! – უარესად გაგულსდა გეგა, – ამ ჭიკაყვალამ უნდა მაჯობოს?!

ახლა თავით დაეტაკა მოწინააღმდეგეს. თაყა შებარბაცდა და სწორედ მაშინ გაუქანა გეგამ ყბაში ძლიერი მუშტი. – ამ ცხვრის თავს ხომ ხედავ?! – მიამახა, მაგრამ უმაღლესი ძლიერი საპასუხო დარტყმა მიიღო, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცივიდა. სახიდან შეიშალა – დამარცხებას შეუზგვევლი იყო. ბავშვობიდანვე სულ იმას უჩიჩინებდნენ, არავინ არაფერში არ უნდა გაჯობოსო, არასდროს არაფერი არ უნდა დათმო, ყველას და ყველაფერს უნდა გადაუარო და, რაც გინდა, უთუოდ დაისაკუთრო.

– ამან უნდა მაჯობოს?! ამან უნდა წამართვას გოგო?! – გავეშებული ხარივით დაიძრა თაყასკენ.

თემური და ოსიგო შემფოთდნენ.

– გეყოთ ახლა... მორჩით! – სცადა ჩარევა ოსიგომ.

– მომშორდი, თორემ შენც მოგხვდება! – თვალები დაუბრიალა გეგამ.

– ე, ბიჭო „ატანდა“, როსტომა მოდის აქეთ! – იემშაკა თემურმა – სასწავლო ნაწილიც მოდის და თამარაც! გესმის, გეგა?!

აჯაგრული გეგა ერთბაშად ჩაცხრა, ყბაზე ხელი ჩამოისვა, შარვალ-ხალათი გაისწორა, მიწაზე დაგდებულ ჩანთას დასწვდა, ერთი შეუბღვირა თაყას და იქაურობას გასცილდა. ვიდრე შეუხვევდა, უკან მოიხედა. თემური და ოსიგო რალაცას ელაპარაკებოდნენ თაყას, ოსიგო ქურთუკს უწმენდა ზურგზე. არ ესამოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ თაყას აშკარად მომხრეები გამოუჩნდნენ და ეს არ იყო კარგი.

დღეები გადიოდა... თაყა მალე შეეჩვია ახალ ამხანაგებს. ღია და კეთილი გული უჩვენა ყველას. ცოდნითა და სულის სიწმინდით თანატოლთა პატივისცემა დაიმსახურა. თამთამ და მაიკომაც კი აღიარეს. არაფერი ბაიყუმიც არ ყოფილაო. განსაკუთრებით ოსიგოსა და თემურს დაუახლოვდა. გეგას საერთოდ არ

ამჩნევდა, თუმცა არც ძვირი გული ჰქონდა მასზე. ხოლო სიდონის მიმართ... იოსთვალემა სიდონის მიმართ განსაკუთრებული გრძობა გაუჩნდა ბიჭს თავისთვისვე შეუძნეველად. უცნაურ კრძალვას გრძობდა, ეჩვენებოდა, რომ მის დანახვაზეც კი სული უფაქიზდებოდა. ასე ეგონა, ვილაცისგან თუ რალაცისგან საფრთხე ელოდებოდა და მზად იყო თავზე შემოვლებოდა.

„მგონი... მგონი მიყვარს თაყა“, – უნაზეს ჰეპელასავით უთრთოდა სიდონის ფიქრი და ესათუთებოდა ამ ფიქრს, ეშინოდა, ძალიან ეშინოდა, არავის ხელეყო იგი.

„ნეტავ, სიდონის გაცნობამდე როგორ ვარსებობდიო“, – ფიქრობდა თაყა.

„თაყას გადმოსვლამდე რა იყო ჩემი ცხოვრებაო“ – უკვირდა სიდონის და ორივე უბედნიერეს არსებად გრძნობდა თავს...

– სილო, მოდი, ჩამოჯექი... და ყური დამიგდე, შენ უკვე დიდი გოგო ხარ და... – წამოიწყო დედამ.

სიდონი დაიძაბა. რამდენი ხანი ელოდებოდა ამ საშინელ წამს, როცა ორივე იძულებული გახდებოდა უღმობელი სინამდვილე დაეჯერებინა და მოსახდენის გარდაუვალობა ელიარებინა. ჰოდა, ეს წამიც დადგა... – მოკლედ... – ხმა აუთრთოლდა დედას. – მამა ჩვენთან აღარასდროს მოვა... მარტოები დავრჩით მე და შენ...

ხომ მთელი არსებით მზად იყო სიდონი ამ ამბის მოსასმენად და მაინც ტკივილმა თხემით ტერფამდე დაუარა და გულის სიღრმეში რალაც ჩასწყდა.

აღარასდროს მოვა... აღარასდროს აღარ მოვა მამა, ადამიანი, რომლის სისხლი და ხორციც იყო სიდონი, რომელიც მისი უპირველესი მეგობარი და მესაიდუმლე იყო, ვიდრე... რომელსაც მუდამ ხალისი და სინათლე შემოჰქონდა ოჯახში...

– რას იზამ... სხვა ქალი შეუყვარდა... შენ ჯერ არ იცი, რა არის სიყვარული, სილო!

– ესეთია, დე, ესეთია სიყვარული? ტკივილის მომტანი? ცუდი ყოფილა, დე, სიყვარული ცუდი... – თავი დედის კალთაში ჩარგო და ახლუქუნდა.

– სილო, სილო... დამიჯერე, სიყვარული ის გრძობაა, რომელსაც ადამიანი ვერ უმტლავდება. ვერც მამა მოერია თავს... დარწმუნებული ვარ, ძალიან უჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ვერ მოერია გრძობას, ვერც მოერეოდა და... არც ჩვენ უნდა დავძრახოთ ამისათვის... მე არ მინდა, რომ შენ ცუდი რამ გაივლო მამაზე გულში... ერთი რამ იცოდე – მამაშენის სადარი კაცი ქვეყანაზე არ დადის. სხვა ქალი შეუყვარდა, გესმის შენ, შეუყვარდა...

„...დედაშენი ამ ქვეყნისა არ არისო... ნეტარიაო“... – ანაზღად თამთას ნათქვამი წამოუტივტივდა გონებაში სიდონის და თავი ასწია, დედას შეხედა. დაბერებულიყო მისი ლამაზი დედა, სახე ჩამოგრძელებოდა, მხრები ჩამოვარდნოდა. თვალებში კი მაინც სიკეთე უკიაფებდა.

ულალატა ქმარმა, ადამიანმა, რომელიც ახლაც კი თრთოლვით უყვარდა, რომელმაც უფაქიზესი გრძობა დაუწიხლა... ის კი ამბობს, ნუ დავძრახავთო... მისი



სადარი კაცი არ დადის ქვეყანაზეო...

– გაგვიჭირდება, სიღო, მე და შენ, მაგრამ ეს მართო მე და შენ უნდა ვიცოდეთ. – წელში გასწორდა დედა.

– ცუდია, დე, სიყვარული ცუდი... – აქვითინებული სიღონია თავის ოთახში შევარდა და ბალიშებში თავჩარგული აბღავლდა.

...სხვა ქალი შეუყვარდა... რა საქმე მაქვს მე იმ სხვა ქალთან?! როგორ შეიძლება სხვა ქალი არსებობდეს, როცა დედა არსებობს?! ნუ დავძრახავთო, მამაზე ცუდი არაფერი გაივლო გულშიო. არ მინდა... მე მამა აღარა მყავს... სიყვარული... მამ, ასეთია სიყვარული? თაყა... ასეთია, მიტხარი?...

დიღისკენდა ჩაეძინა სიქაგაცილილს. ფეხის ხმამ გამოაღვიძა. წამოდგა. საწოლ ოთახში მამა იდგა. ერთბაშად სახე გაუნათდა. მამ სიზმარი ყოფილა ის ყველაფერი, სიზმარი, აი, აქ არ არის მამა?!

– ა, სიღ, შენა ხარ? – დაიბნა მამა. – მე სკოლაში მეგულებოდი და...

არაფერი სიზმარიც არ ყოფილა! – მამას გარდერობი გამოეღო და თავის ტანსაცმელს ჩემოდანში ატაგებდა. სიღონის დანახვაზე შეცბა. ცხვირსახოცების დასტა ჯიბეში ჩაიტენა. სიღონის გაუთოებული თეთრი პერანგი დაასორსოლაყა და ჩემოდნის კუთხეში ჩაუჭა.

– დედა გეტყოდა, რომ...

სიღონიმ ხმა არ გასცა. თავის ოთახში შებრუნდა.

– სიღო, გამიღე... ყური დამიგდე... შენ ჯერ არ იცი...

სიღონიმ კარს სავარძელი მიადგა, ყურებში თითები დაიცო და ისევ ბალიშებში ჩაეძხო, რათა ახლა მამასგან არ მოესმინა – შენ ჯერ არ იცი, სიყვარული რა არისო... ეს ისეთი გრძობაა, რომელსაც ადამიანი ვერ უშკლავდებო...

მამა ერთხანს კიდევ იდგა მისი ოთახის კართან, ცდილობდა, რაღაცნაირად თავი ემართლებინა, მერე ერთბაშად ხელი ჩაიჭნია, ჩემოდანს ხელი დაავლო, გასაღებების ასხმას ერთი გამოაყოლო, თაროზე შემოდო და კარი გაიხურა, წავიდა...

ძალიან გაუჭირდა სიღონის. რაღაცნაირად დაცარიელდა. თვალები ჩაუქრა, მზერა გაეყინა. არავის დანახვა არ უნდოდა, რამდენს ეძუდარა დედა, მაგრამ ვერც ლუკმა შეაჭამა და ვერც ხმა ამოაღებინა. ხან ალერსით სცადა, ხან გაუჯავრდა, მე რატომ არ მიწევ ანგარიშსო, ისიც უთხრა, მე შენზე უფრო მიჭირს, მაგრამ არ ვიმჩნევო. გაოგნებული სიღონის გონებადღე

კი არაფერი აღწევდა. ტელეფონის ყურმილიც გადასლო და კარსაც არავის უღებდა. თუ ტახტზე არ იყო მივარდნილი, ჩაბნელებულ ოთახში დაბორილობდა ქაზროდ. სასოწარკვეთილმა დედამ აღარ იცოდა, რა ჯერნა. შიშით ხმას ვეღარა სცემდა, უარესად არ გავალიზინაო: ერთი პირი იფიქრა, კლასელებს ვეტყვი ჩუმიად, მოკითხონო, მაგრამ იმისიც შეეშინდა, ალბათ არ მიინდომებს, ასეთ დღეში რომ ნახონ, და გადაიფიქრა.

იმის იმედილა ჰქონდა, იქნებ თვითონვე მოერიოს თავსო.

– სხვა სკოლაში უნდა გადავიდე... – გამოუცხადა ერთ საღამოსაც სიღონიმ სამსახურიდან მობრუნებულ დედას.

– იქნებ გადავიაროს, სიღო, და...

– არა, დე, მე ჩემს კლასში ვეღარ მივალ, – ჩაილაპარაკა.

– როგორც გინდა.. ხვალვე მივალ დირექტორთან და... ოღონდ რომელ სკოლაში გინდა?

– არ ვიცი... ჯერ არ ვიცი...

წარმოიდგინა, რომ სამუდამოდ უნდა დაშორებოდა თანაკლასელებს, მასწავლებლებს და გული შეეკუმშა, მაგრამ მერე ისიც წარმოიდგინა, როგორ აჩურჩულდებოდნენ თამთა და მაიკო, როგორ თანაგრძნობით დაუსწებდნენ ყურებას სხვები და თავი გააქნია.

არა, ვეღარ წავა თავის სკოლაში... ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო. თითებში რაღაც მოხვდა. ხელი ამოიღო და პატარა ცისფერი ბუმბული კი შერჩა. ჩაეცინა და ცრემლები წამოუვიდა. თაყა, თაყა... იცი, როგორ მიჭირს?

ანაზღად კარზე დარეკა ვიღაცამ. დედამ სიღონის გადახედა.

– სიღო, იქნებ სანტექნიკოსია,

დილით დავურეკე, ცხელი წყლის ონკანი რომ მოიშალა... იქნებ გაგვიკეთოს, თორემ ორთქლის ბულიდა დგას.

– როგორც გინდა, – მხრები აიჩენა სიღონიმ და ფანჯრისკენ წალასლასდა.

– აა, შენ ხარ, თაყა? – შეშინებულმა დედამ სიღონის მოხედა. – შემოდი, შემოდი...

სიღონიმ უნებურად ხელისგულზე დაიხედა.

– თაყა! მოხვედი? – წაიხურჩულა და ფანჯრისკენ შეტრიალდა.

– შენ ხომ ჩემი სახელი ახსენე, სიღ, და.. – გაულიმა თაყამ.

ფანჯრის რაფიდან დამფრთხალი ჩიტი აფრინდა.

– ზაქარა იყო? – თვალი გააყოლა თაყამ.

– ჰო, – გაიღიმა სიღონიმ და ბუმბული ჯიბეში შეინახა.





# მსოფლიო კიდით კიდევდა



## აღმოსავლეთ ევროპა




### ბავშვები შიმშილოვან

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შარშან წლის მიწურულს გამოქვეყნებული მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კატასტროფულად გაიზარდა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც უკიდურეს სიღატაკეში უწევთ ცხოვრება. რუსეთსა და უკრაინაში ყოველი შვიდი ბავშვიდან ერთი, ხოლო ალბანეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში ყოველი სამი ბავშვიდან ერთი აუტანელ გაჭირვებაში ცხოვრობს. წარმოუდგენლად გაიზარდა უსახლკარო გოგო-ბიჭების რაოდენობა. ამჟამად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ამ მაჩვენებელმა 1,5 მილიონს მიაღწია, შესაბამისად ძალზე დაეცა ზოგადი განათლების დონე.

### აშშ

### ტირორისტთა მიზანძვით

15 წლის ჩარლზ ბიშოპმა,



ფლორიდის შტატში თვითმფრინავი გაიტაცა და „Bank of America“-ს ცათამბჯენს შეაჯახა. როგორც ირუკვეა, მან ეს იმ ტერორისტთა მიზანძვით ჩაიდინა, რომლებიც შარშან 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს დაესხნენ თავს. გამოძიებამ აღმოაჩინა ბიშოპის წერილი, რომელშიც იგი ოსამა ბინ ლადენისადმი მხარდაჭერასა და სიმპათიას გამოხატავს. ამერიკელ სამართალდამცავთა წინასწარი ვერსია უბედური შემთხვევის შესახებ არ დადასტურდა.

ქვეყნის ხელისუფლებას არ გააჩნია ცნობები ჩარლზ ბიშოპის ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-ქაიდის“ წევრებთან კავშირის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჩარლზ ბიშოპი ფლორიდის იმავე საზაფხულო სკოლაში სწავლობდა, სადაც საფრენოსონო კურსები 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზატორებმა გაიარეს.

ნათესავები და ახლობლები ჩარლზ ბიშოპს ახასიათებენ, როგორც მეტად უკარება მოზარდს. „იგი, ალბათ, მარტოსული იყო. მისი საქციელი იმაზე მეტყველებს, რომ ჩარლზს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა“, – ამბობს ტამპის პოლიციის სამმართველოს უფროსი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს არ იყო ტერაქტი, ჩარლზ ბიშოპმა, უბრალოდ, თავი მოიკლა. „Bank of America“-ის შენობა თვითმფრინავის შეჯახების შედეგად სერიოზულად დაზიანდა, არავინ დაშავებულა.

### გერმანია

### ველოსიპედი ფუფუნება

### არ არის

ქალაქ მიუნსტერის ადმინისტრაციულმა სასამართლომ განიხილა იმ მშობელთა სარჩელი, რომლებიც სოციალური დახმარე-

ბით ცხოვრობენ და ამდენის საშუალება არა აქვთ საკუთარ შვილებს ველოსიპედი უყიდონ...

სასამართლომ ქალაქის კომუნალურ ხელისუფლებას დაავალა გამოუყოს ნაკლებად შეძლებულ ოჯახებს დამატებითი ფული შვი-



ლებისთვის ორბორბლიანი ტრანსპორტის შესაძენად. სასამართლომ არადამაჯერებლად ცნო მოპასუხის არგუმენტები, ველოსიპედი სათამაშოა და ამდენად სოციალური დახმარების ხარჯზე არ უნდა ფინანსდებოდესო და საჯაროდ განაცხადა: „ყოველ ბავშვს ველოსიპედის ქონის უფლება აქვს“.

### დიდი ბრიტანეთი

### პრინცი ნარკოლოგიურ

### ცენტრში მაურნალოვს

პრინცესა დიანას უმცროსი ვაჟიშვილი პრინცი ჰარი გამოტყდა, რომ მარიხუანასაც ეწეოდა და სპირტიან სასმელებსაც სვამდა, რის გამოც მამამ ნარკო-



ლოგიური რეაბილიტაციის ცენტრში გაამწესა. ამ ამბავს სკანდალური არ ეთქმის, ვინაიდან ინფორმაცია სამეფო ოჯახის ცხოვრების ამ ფაქტის შესახებ თვით ჰარის მამის, ტახტის მემკვიდრის, პრინც ჩარლზის სურვილით გავრცელდა.



# ქართული წერა

დიდი ხნის ისტორია აქვს ქართულ წერას.

მისი წარმოშობისა და შემოღების დროის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ქართველებს საკუთარი წერა უკვე მეოთხე საუკუნეში გვაქვს. ამას უთუოდ ხელი შეუწყო ქრისტიანობის ფეხის მოკიდებამ ჩვენში. მისი განმტკიცებისა და გავრცელებისათვის აუცილებელი იყო დამწერლობა დედაენაზე, რომ ახალი სარწმუნოების ქადაგება გასაგები ყოფილიყო ყველასათვის.

ქართული ანბანი თავიდან 37 ასოსაგან შედგებოდა. ამ ასოების რიგი ქან-ამდის (ქ ასომდის) დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ძველ ბერძნულში იყო. ქანს ბერძნულში მოსდევდა მეორე ო (გრძელი ო), ე. წ. დიდი ო ანუ ომეგა. ამ ომეგის ბადალი ასო, რომლის სახელი იყო ოპი, ქართველებმაც შექმნეს და სულ ბოლოს მოაქციეს, ოღონდ ქანსა და ამ უკანასკნელ ოპს შორის ჩასვეს ქართულისათვის დამახასიათებელი ასოები:

**ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, პ, ჯ, ჰ.**

პირვანდელი ქართული ასოები ოდნავადაც არ ჰგავდა დღევანდელ ქართულ ასოებს. აი, როგორ გამოიყურება ერთი უძველესი ქართული წარწერა, რომელიც იტალიელებმა აღმოაჩინეს 1953 წელს პალესტინაში, ბეთლემის ახლოს, მონასტრის ნანგრევების გათხრისას (სურ. 2).

თვითონ იტალიელებმა რომ ვერ წაიკითხეს, წარწერის ფოტოსურათი რომში გადაგზავნეს და

იქ ქართველმა მეცნიერმა მ. თარხნიშვილმა შემდეგი ამოკითხა:

**შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორესითა შეიწყალენ ანტონი აბამ და იოსია, მომხმელი ამის სეფისამ და დედა-მამამ იოსიამის. ამენ.**

წარწერაში სამი სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი ქსსითა (=ქრისტესითა), თედსითა = თევდორედსითა), შნ (= შეიწყალენ).

წარწერაში ლაპარაკია იმაზე, რომ ეკლესიის იატაკი სეფით, ანუ ფერადი კენჭებით მოუპირკეთებიათ, ე. ი. იატაკი მოზაიკისა გაუკეთებიათ. ეს უქმნია ვინმე იოსიას. ამ დროს მონასტრის წინამძღვრად (აბამ) ყოფილა ანტონი, ეკლესია წმ. თევდორეს სახელზე ყოფილა ამუშავებული.

ეს წარწერა მე-ნ საუკუნისაა. იმავე ქართული მონასტრის ნანგრევებში იპოვეს ორი სხვა წარწერა, უფრო ძველი, ვიდრე ზემოთ მოყვანილი.

ძალიან ძველია აგრეთვე ბოლნისის ტაძრის წარწერები (მე-5 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისა).

აი ასეთი იყო პირვანდელი ქართული ასოები. სხვანაირი ქართული წარწერა მე-ნ საუკუნემდე არ არსებობდა. ამ ასოებს შესახედაობა მრგვალი ჰქონდა და ამიტომ მრგლოვანი დაერქვა. მრგლოვანში ასოები თანაბარი სიმაღლისა იყო, რამდენიმეს გარდა, რომელთაც შემდეგდროინდელ ხელნაწერებში ბოლოები ძირს ჩამოუდის, მათი ზემოდან ქვემოთ დამავალი ხაზები უმეტესად ვერტიკალურად ეშვება ძირს, ამი-



სურ. 1. ქართული ანბანის განვითარება



ტომ ასოები სწორად სხედს ხაზზე.

მე-9 საუკუნეში მრგლოვანისაგან წარმოიშვა სხვანაირი


ნსხვაედებოდა, რომ აქ ასოები სხვადასხვა სიმაღლისა იყო: ზოგი შუაზე იწერებოდა, ზოგი ხაზს ზემოთ, ზოგი ხაზს ქვემოთ, ზოგსაც მთელი სიმაღლე ეჭირა (სურ. 3).



**სურ. 2. ბეთლემის წარწერა (VI ს.)**

ქართული წერა, რომელშიც ასოების მოხაზულობა უმეტესად იგივეა, რაც მრგლოვანისა იყო, მაგრამ აქ ასოები სწორად კი არ სხედს ხაზზე. არამედ დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ამას გარდა, ზემოდან დაშვებული და განზე გაზიდული ხაზების გადაკვეთის ადგილას ასოებს კუთხეები უკეთდება. ასეთ წერას ნუსხური დაერქვა. ნუსხური ხელი ბატონობდა მე-10 და მე-11 საუკუნეებში. იმ ხანიდან მოღწეული წიგნები უმთავრესად ნუსხური ხელით არის ნაწერი, მრგლოვანი მათში სათაურებად და ინიციალებად (ე. ი. დასაწყის ასოებად) იყო ხოლმე გამოყენებული. მაგრამ ამავე საუკუნეებში ბევრი წი-

ნვითარდა, რომელიც თავდაპირველად საკმაოდ ჰგავდა ნუსხურს, მაგრამ შემდეგ თანდათან განსხვავდა მისგან. ამ ახალ წერაში ასოები ისევ გასწორდა, ოთხ ხაზს შორის რომ კუთხეები ჰქონდა, — მოეშალა და ეს ნაწილი მომრგვალდა, ოღონდ საქვედაო ასოებს რომ ბოლოები ჰქონდა სწორი ხაზების სახით, ეს ბოლოები მათ (ყველას არა, მაგრამ უმეტესობას), მოუკაუჭდა მარცხნივ, ე, ვ, კ, ჟ, უ, ფ, ქ, ყ, ჭ. ასეთ წერას დაერქვა მხედრული.



**სურ. 3. ქართული ხელნაწერი (968 წ.)**

გნი თავიდან ბოლომდე მრგლოვანი ხელითაც იწერებოდა. დახრილობისა და კუთხოვნების გარდა, მრგლოვანისაგან ნუსხური წერა იმითაც გა-

ოსანი, ამირან-დარეჯანიანი, ვისრამიანი), მეფეთა ბრძანებით, სიგელები, სასამართლო დადგენილებანი და სხვა. კერძო მიწერ-მოწერაშიც, რა

თქმა უნდა, უმეტესად მხედრულს იყენებდნენ.

არავინ იფიქროს, რომ მრგლოვანი და ნუსხური გადავარდნილიყოს მხედრულის შემოღების შემდეგ. არა! ისინიც დარჩა ხმარებაში, მაგრამ მხოლოდ სასულიერო ხასიათის წიგნებისათვის, რომლებიც ეკლესიას სჭირდებოდა, როგორცაა: სახარება, სამოციქულო, დავითნი, კურთხევანი, ჟამნი და სხვა. ამგვარი წიგნები სულ მრგლოვანითა და ნუსხური ხელით იწერებოდა.



**სურ. 4. ორბელიანთ ტაძრის წარწერა ს. ტანბიაში (XVIII ს.)**

მათ უმეტესად სასულიერო პირები ხმარობდნენ და ამიტომ ძველ წერას, მხედრულისაგან გასარჩევად, ხუცური დაერქვა. წიგნების მთლად მრგლოვანი ხელით წერა თითქმის გადავარდა მე-13 საუკუნიდან. მრგლოვანს ძირითადად წარწერებშილა ხმარობდნენ. აი, მაგალითად, ორბელიანთ ტაძრის წარწერა მე-17 საუკუნისა, სულხან-საბა ორბელიანის ეზოში, ბოლნისის რაიონის სოფელ ტანბიაში (სურ. 4).

წარწერის თავში ჯვარია, შემდეგ იკითხება: წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ექმენ პატრონს ორბელს.



ქ. შარლოაქია ბრათ მთაწა შარლოაქ შარლოაქ  
 ცხა: შარლო სეკუაგეფი შარლოაქ შარლოაქ  
 მწიფი შარლოაქ იქი ვარაგეფი: შარლოაქ

**სურ. 5. ერთი აბზაცი ბაგრატ IV სიველისა (XIVს.)**

წარწერაში სიტყვები – წმიდაო, ნიკოლაოზ, პატრონს შემოკლებით (ქარაგმით) სწერია: წო (= წმიდაო), ნეზ (= ნიკოლაოზ), პტრნს (= პატრონს).

ახალი წერა, ე. წ. მხედრული, როგორც ვთქვით, ნუსხურისაგან წარმოიშვა მე-11 საუკუნეში და თანდათანობით ისე დაშორდა ნუსხურს, რომ სულ სხვა სახე მიიღო.

ერთი რამ მაინც შემორჩა ნუსხურს: მისი ასოები სიმაღლით და მღებარეობით ოთხ ჯგუფად იყოფა: ზოგი შუაზე იწერება, ზოგი ხაზს ზემოთ ადის, ზოგი ხაზს ქვემოთ ჩამოდის, ზოგსაც მთელი სიმაღლე უჭირავს, როგორც ეს დღევანდელ წერაშია. მაგ., რომ ავიღოთ სიტყვები ქართული წერა, ვნახავთ, რომ შუაზე იწერება ა, თ, ი, ზემოთ ადის რ, ქვემოთ ჩამოდის ე, ლ, უ, მთელი სიმაღლისაა ქ, წ.

საინტერესო სურათს იძლევა მხედრული წერის განვითარება. აქ მოვიყვანოთ, მხოლოდ მე-11 და მე-12 საუკუნეების ნიმუშებს (სურ. 5, 6).

შეიძლება ითქვას, რომ მე-17 საუკუნეში მხედრულმა ძირითადად უკვე მი-

იღო ის სახე, რომელიც შემდეგ ბეჭდვამ განამტკიცა და დღემდე გვაქვს. ქართული წერის განვითარების საფეხურებს ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი (სურ. 1).

ასოების მოყვანილობით დღევანდელი წერა ისეა დაშორებული პირვანდელს, რომ კაცი იფიქრებს – ეს ორი სხვადასხვა ერის წერააო. არა! ერთი ერისაა, მაგრამ სხვადასხვა ეპოქისა. უცნაური ამბავი კია: ასეთი გადასხვაფერება

საუკუნოვან: არსაგეფი ვსაუკუნოვან ვეჩხიყა:  
 დეკუნს დეკუნს მონ: ზესაქონ მონ: დეკუნს

**სურ. 6. ერთი აბზაცი გიორგი III სიველისა (XIIIს.)**

არც ერთ წერას არ განუცდია: არც ბერძნულს, არც ლათინურს, არც არაბულს, არც სომხურს. როგორც აბრეშუმის პარკიდან გამომძვრალი პეპელა არ ჰგავს იმ ჭიას, რომელმაც ეს პარკი გააყეთა, ისე არ ჰგავს ჩვენი დღევანდელი წერა მე-5 საუკუნის ქართულ წერას. მოხაზულობა თითქმის ყველა ასოს შეეცვალა, ცვლილებას

გადაურჩა ერთადერთი ასო ს, რომელიც დღესაც იწერება როგორც მე-5 საუკუნეში. დააკვირდით ბეთლემისა და ტანძიის წარწერებს, მონახეთ შიგ სანები და ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს ასეა; ახლა სხვა ასოებსაც დააკვირდით და შენიშნავთ, რომ მათი მოყვანილობა ძველად სხვა იყო, დღეს კი სხვაა.

აუცილებელია, რომ ყველა ქართველმა იცოდეს ძველი ქართული ასოების წერა და კითხვა, ეს საშუალებას მოგვცემს, ძველი ქართული წიგნი ქართულად ვიცნათ, და თუ სადმე შეგვხვდა ქართული წარწერა – შევიძლოთ ამოკითხვა. ძველი წერის

ცოდნა იმისათვის საცაა საჭირო, რომ მრგლოვანი გამოვიყენოთ მთავრულ ასოებად წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ეს მიღებული იყო ჩვენში წინათ (მე-18 და მე-19 საუკუნეებში). მთავრულების ხმარება მიღებულია ბერძნულში, რუსულში და ევროპის სხვა ენებში. მათი ხმარება დიდად დაამშვენებს ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებს (სურ. 7).

ჩეთილ-მსახურისა მეფისა ამის შავით აღმაშენებლისაგან არს აღმაშენებელი ტრაპეზონტის პირისხირ ქალაქისა მის მალაღის მთაზ ზედა მოსახტერი დადი დავრას სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა იუთახ-მშობლის მიკაელსა: ხა ხახელსიკვხ სემელის მოსახტერი. ამ მოსახტერსა შინა ჭაროველთა მოსახტერისი ყოფილას, აწ ბერძენისა უპერიეს, დღესაც მოაუშლელი არს მოსახტერი იგი; მარადის მოსახტერსა მახ შინა გარდა სხვათა მსახურთა მოსახტერისთა ხამოცდა აინი მკვდელ-მონოზონნი არიან, და არიან მოსახტერსა მახ შინა მრავალნი ძველნი წიგნნი ჭაროულნი. მამულნი და შემოსავალნი მოსახტერსა მახ შავით მეფისა აღმაშენებლისა მიერ აქვხ შემინაბულნი.

**სურ. 7. თეიმურაზ ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია (1848წ.)**



კლასში ყველაზე დაბალი ვარ (150 სმ) და ბიჭებმა „წრიბა“ დამარჯვეს. კი შევეჩვიე ამ სახელს, აღარც მწყინს (ჩვენს კლასში ყველას აქვს მეტსახელი), მაგრამ მაინც განვიცდი, ვაითუ აღარ გავიზარდო და მაშინ არც ერთი ბიჭი ზედაც არ შემომხედავს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

### ნინი, 14 წლის ქ. ქუთაისი

ერთ ბრძენს უთქვამს, თუ სიტუაციის შეცვლა არ ძალგამს, ამ სიტუაციისადმი დამოკიდებულება უნდა შეცვალო. ეს რჩევა იმ შემთხვევაში გამოგადგება, თუ მართლა აღარ გაიზრდები. უნდა შევგუო შენს სიმაღლეს (ბოლოს და ბოლოს 150 სმ არც ისე ცოტაა) და ყურადღება სხვა შენს გარეგნულ მონაცემებზე გადაიტანო, თუნდაც თვალებზე, თმებზე, თითებზე. ლამაზად შეჭრილი თუ დავარცხნილი თმა, მოწესრიგებული ფრჩხილები, ხელები, ზომიერი მაკიაჟით შელამაზებული თვალები დაგეხმარება ირწმუნო, რომ გოგონას, ქალის გარეგნობაში სიმაღლე მთავარი სულაც არ არის. ამასობაში ასაკიც მოგიწევს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ჩაიცვამ და ალბათ, კომპლექსიც საბოლოოდ მოგეხსნება. ნურც იმას დაივიწყებ, რომ ბიჭებს, მამაკაცებს უყვართ, როცა ქალები მათ ზევიდან კი არ უყურებენ, არამედ ქვევიდან ზევით შესცქერიან, უყვართ ნაზი, უმწეო ქალები, რომლებსაც დაცვა ესაჭიროებათ. ასეთებს კი ისინი დაბლებში უფრო პოულობენ, ვიდრე მაღლებში.

და ბოლოს – საზოგადოდ, თუ რაიმე სერიოზულმა დაავადებამ არ შეუშალა ხელი, გოგონები 23-24 წლამდე იზრდებიან. ისე რომ ყოჩაღად იყავი, შეუძახე საკუთარ თავს და გახსოვდეს – საკუთარი თავის რწმენა ძალზე ბევრს ნიშნავს.

ჩემი ტანჯვა მაშინ დაიწყო, როდესაც სარკეში დავინახე, რომ მეორე ნიკაპი გამიჩნდა. როგო-

რია, 15 წლის ვარ და ისეთი ლაბაბი მაქვს, როგორც 60 წლის მსუქან ქალს. გადავწყვიტე დიეტაზე გადავსულიყავი. ათასწიარი ნივინი და ჟურნალი წავიკითხე, დავადგინე, რამდენი კალორია უნდა მიიღოს ადამიანმა დღეში და მას შემდეგ აღარაფერს ვჭამდი, მარტო – მურაბებს. გავიდა რამდენიმე თვე, ჩემს ლაბაბს არაფერი დაეტყო, სამაგიეროდ, დავსუსტიდი, წნეკაც დამივარდა, თავბრუც მეხვევა, მხედველობაც დამიქვეითდა, აღარაფრის თავი და ხა-



ლისი აღარ მაქვს, დიეტამ შევლის ნაცვლად ავად გამხდა.

### თეა, 15 წლის ქ. რუსთავი

თეა, ძვირფასო, გვინდა ვითხრათ, რომ არ შეიძლება ასე დაუფიქრებლად ენდო ჟურნალგაზეთებში დაბეჭდილ ათასწიარ რჩევას. ადამიანისათვის საჭირო კალორიების, ენერჯის გამოთვლა მხოლოდ ინდივიდუალურად შეიძლება და იმ პროდუქტების შერჩევაც, რომლებიც ამ კალორიებით უზრუნველყოფს ადამიანს, ამ ადამიანის პირადი საქმეა. უფრო მეტიც, ყველა ეს განგარიშება და რჩევა გათვლილია იმ ასაკისთვის, როცა ორგანიზმის დაბერებასთან დაკავშირებული ჭარბი წონის პრობლემები იჩენს თავს. შენი ორგანიზმი ახლა აქტიურად იზრდება, შენ კი საზრდოს აკლებ, ამასობაში საკუთარი ნიკაპი ლამის კერპად გაგიხდია, მხოლოდ მასზე ფიქრობ, მხოლოდ ის გადარდებს...

შენ გვეკითხები, როგორ მოვიქცეო და ჩვენც გიპასუხებთ: უწინარეს ყოვლისა, შეეშვი კა-

ლორიების გამოთვლას და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდი. ლაბაბის პრობლემა იმაში მდებარის, თუ რამდენ კალორიას იღებ, არამედ იმაში თუ რამდენს ხარჯავ. ისე რომ, მეტი იმოდრავე, იარე ფეხით, ივარჯიშე, იცეკვე, იმუშავე ფიზიკურად.

მე და გაგას (სინამდვილეში მას სხვა სახელი ჰქვია) ერთმანეთი გვიყვარს და არ გვინდა ერთმანეთს დავცილდეთ. მშობლები კი უშლიან გაგას ჩემთან შეხვედრას. თვითონ არ მეუბნება, მაგრამ მე ვხვდები, რატომაც არ მოვწონვარ მის ოჯახს. გაგას მამა „ახალი ქართველია“, ბევრი ფული აქვს, უცხოური მანქანით დაგრიანებს, პირადი დაცვა ჰყავს, უფროსი ძმა კემბრიჯში სწავლობს, გაგას კი ოქსფორდის უნივერსიტეტისთვის ამზადებენ, მე კი, მათი აზრით, ხელს ვუშლი... ისეთი ჩვეულებრივი ოჯახის შვილს (ჩემი მშობლები მეცნიერები არიან, მამა ფიზიკმათემატიკის დოქტორია, დედა კი ქიმიკოსია, კანდიდატი) როგორც ჩემია, ისინი რძლად არ მოიყვანენ.

ჩვენ კი რა უნდა ვქნათ – მე და გაგამ? ჩვენნაირმა გოგობიჭებმა? დავთმოთ ჩვენი გრძნობა?


### მაკა, 15 წლის თბილისი

ცხადია, გრძნობა არ უნდა დამთმოთ. უფროსებს მხოლოდ მაშინ აჯობებთ, თუ ამ გრძნობის ჭეშმარიტებაში, სიძლიერეში და არწმუნებთ. მთავარი ის არის, რომ გაგაც თანაგიგრძნობს. თუ ის უცხოეთში წავა სასწავლებლად, თქვენ საკუთარი გრძნობების შემოწმების საშუალება მოგეცემათ და თუ თქვენი სიყვარული განშორების გამოცდას გაუძლებს, მაშინ ხომ გაგას მშობლებიც დარწმუნდებიან მის ჭეშმარიტებაში და არა გვეგონია, ამის შემდეგაც შეგიშალონ ხელი.



# ვინყუბთ თამაშს ვინიშეჭით

## ვინწლორინა "უწყის ყოლოფეჭისათვი"



ამბობენ, პირველი ვიქტორინა ადამიანებს სფინქსმა გაუმართაო, სინამდვილეში კი არავენ იცის, ვინ, სად, როდის და როგორ მოიგონა ვიქტორინა. მისი რაობა კი, უფიქრობთ, ყველასათვის ცნობილია – ეს არის ერთგვარი თამაშობა. რომლის დროსაც მონაწილეებმა უნდა უპასუხონ მთელ რიგ კითხვებზე ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან. დღეს ათასგვარ ვიქტორინაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ზოგი

აღწევს მიზანს, ზოგი – ვერა, საბოლოო ჯამში კი ყველა მოგებული რჩება, თუნდაც იმიტომ, ვიქტორინის კითხვებზე პასუხების ძიებაში დიდძალ ლიტერატურას ფურცლავს, ბევრ ახალ რამეს იგებს, ცოდნას იმდიდრებს და თვალსაწიერს იფართოებს.

გინვევთ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად და გთავაზობთ პირობებს: თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია „ნაკადულის“ ყველა მკითხველს.

თამაში-ვიქტორინა ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპის კითხვების პასუხების მიღების ბოლო ვადაა 15 მარტი, მეორე ეტაპისა – 10 მაისი. გამარჯვებულთა ვინაობა ორი ეტაპის შედეგების მიხედვით დადგინდება. პასუხები შეფასდება 12 ქულიანი სისტემით. შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო პასუხის სისწორე, არამედ მისი მოწოდების ფორმა, მახვილგონიერება და ორიგინალობა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მახვილგონიერულმა პასუხმა უფრო მეტი ქულა დაიმსახუროს, ვიდრე სწორმა, მაგრამ მოსაწყენმა.

გამარჯვებულები, რომლებიც ორივე ეტაპის ჯამში ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას დააგროვებენ დაჯილდოვდებიან.

პირველი ადგილისათვის დაწესებულია 1 პრიზი (50 ლარი და ჟურნალ „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა).

მეორე ადგილისთვის ასევე 1 პრიზი (30 ლარი და „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა).

მესამე ადგილისათვის – 1 პრიზი (20 ლარი და „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა).

ვისურვებთ წარმატებას!

პასუხის გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, სკოლა, კლასი, ტელეფონის ნომერი. ჩვენი მისამართი მოცემულია ჟურნალის პირველ გვერდზე.

1. რამდენი ანბანია მსოფლიოში? ჩამოთვალეთ ისინი.

2. წარმოიდგინეთ, რომ შესაძლებლობა მოგეცათ, მოგესმინათ დელფინების ხუთწუთიანი საუბარი და გაგეგოთ იგი. გაგვიზიარეთ, რაზე ლაპარაკობენ დელფინები.



3. ვინ არის ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი?


4. ორ ფირმას ხელშეკრულებით უნდა გაეცვალა ერთი და იგივე წონის რუინისა და ხის მასალა. ფირმამ, რომელიც ხის მასალით ვაჭრობდა, 1 ტონა ხის მასალაში მოითხოვა

1002,5 კილოგრამი რუინის მასალა და თან დასძინა, რამდენად სწორი იყო ეს?

5. ესპერანტოს გარდა, კიდევ რომელი საერთაშორისო ხელოვნური ენები არსებობს, ვინ და როდის შექმნა თითოეული მათგანი?

6. რატომ ჰქვია აზიისა და ავსტრალიის მატერიკებს შუა მდებარე ოკეანეს წყნარი, როცა ცნობილია, რომ აქ ძალიან ხშირად მძვინვარე ქარიშხალი და ძლიერი დელვა იცის?

7. შესთავაზეთ ვიქტორინის მონაწილეებს თქვენი კითხვა მეორე ეტაპისათვის.



8. რომელ ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა პირველად?



გაიხსენეთ მათი ვინაობა, სპორტის სახეობები, რომლებშიც ისინი გამოდიოდნენ და ისიც, თუ რომელმა მათგანმა რომელი ჯილდო მოიპოვა.



9. ფოტოსურათზე აღბეჭდილი ქალბატონი ნობელის პრემიის ლაურეატი გახლავთ, ვინ არის იგი, რომელ დარგში და რისთვის დაიმსახურა მან ეს პრემია?

**სიკვდილისჯილი**




**10. (ზღაპარი-გამოცანა)**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სამეფო, სადაც სიკვდილისჯილის ბოლო წუთში გადარჩენის შანსი ეძლეოდა. ყუთებში ქაღალდის ორ ფურცელს დებდნენ. ერთზე „სიცოცხლე“ ეწერა, მეორეზე – „სიკვდილი“. დამნაშავე მიუახლოვდებოდა ყუთებს და ერთ-ერთიდან ამოიღებდა ქაღალდს, ანუ მას თვითონვე გამოჰქონდა საყუთარი თავისათვის საბოლოო განაჩენი.

ერთხელაც ამ სამეფოში შურიანი და ბოროტი ადამიანების მცდელობით სასამართლომ ერთ ყოვლად პატიოსან და კეთილ ადამიანს მიუსაჯა სიკვდილი, მაგრამ ეტყობა, ავისმქმნელებს შეეშინდათ, ვაითუ, ამ კაცმა ის ფურცელი ამოიღოს ყუთიდან, რომელსაც „სიცოცხლე“ ეწერებოდა და ამიტომ ყუთიდან ამოიღეს ფურცელი, რომელზეც „სიცოცხლე“ ეწერა და სანაცვლოდ „სიკვდილის“ წარწერიანი ჩააგდეს. ამრიგად ახლა ორივე ყუთში სასიკვდილო განაჩენის შემცველი ქაღალდი იდო, ისე, რომ რომელი მათგანიც უნდა ამოეღო, ბოროტთაგან გაწირულ კაცს სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა. მაგრამ კეთილმა აქაც სძლია ბოროტს – სიკვდილისჯილის მეგობრებმა როგორღაც გაიგეს ავისმზრახველთა ნამოქმედარის შესახებ და დაუყოვნებლივ აცნობეს მას, თან ურჩიეს, პირდაპირ სასამართლოს წინაშე ემხილა ბოროტი ადამიანები. სიკვდილისჯილმა მადლობა გადაუხადა მეგობრებს და სთხოვა ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახათ, არავისთვის გაემხილათ. განწირულის ამგვარი საქციელით გაოცებულმა მეგობრებმა მაინც შეასრულეს მისი თხოვნა და კრინტი არსად დაძრეს.

დადგა განაჩენის გამოტანის დღე. სიკვდილისჯილი დინჯად მიუახლოვდა ერთ-ერთ ყუთს, ამოიღო ქაღალდი და ... სასამართლომ გაათავისუფლა იგი!

რატომ? როგორ? რა მოხდა?



11. როდის დაიღვა მოსკოვში შოთა რუსთაველის ეს ძეგლი და ვინ არის მისი ავტორი?



12. გაიხსენეთ დარტანიანის და მისი მეგობრების დევიზი.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა





ინგლისელი მწერლის ჯოან როლინგის საბავშვო წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი „პარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ გასული წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს.



საბავშვო ბესტსელერმა, ინგლისელი მწერალი ქალის ჯოან როლინგის წიგნმა „პარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ მთელი მსოფილო დაიპყრო. წიგნი წითურთმიანი და სათვალისანი პატარა ჯადოქრის შესახებ პირველად 1997 წელს გამოჩნდა და ასობით ქვეყანაში 47 ენაზე 125 მილიონიანი ტირაჟით გავრცელდა. ჯერ მარტო ჩინეთში 40 მილიონი წიგნი გაიყიდა. ამდენად არც ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმის წარმატება უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. იმ დღეს ფილმის პრემიერაზე ლონდონის კინოთეატრ „ოდეონში“ ბევრს ვეებთან ერთად უამრავმა ცნობილმა ადამიანმა მოიყარა თავი. მთავარი როლის შემსრულებელი 12 წლის დანიელ რედკლიფი მრავალი სათვალისა და შუბლზე ნაიარევის გარეშე წარდგა საზოგადოების წინაშე. მისთვის პრემიერის წინა დამე შობის წინა დამეს ჰგავდა. „დამე ოთხჯერ გამეღვიძა, – უამბო მან უურნალისტებს, – ხოლო როცა კინოთეატრს მივუახლოვდი, ისე ველავდი, რომ მთელი სახე მითრთოდა“. დანიელს მიანია, რომ ბედმა გაუღვიძა: მან ხომ პარი პოტერის როლის შესრულების მოსურნე 16 ათას კონკურენტს აჯობა – ცხადია, მას გარკვეულმა სასცენო გამოცდილებამაც უშველა. მომავალი ფილმის რეჟისორმა, კრისტოფერ კოლაშუსმა დანიელი ლონდონის თეატრ „მასტერპისში“ აღმოაჩინა, სადაც იგი დევიდ კოპერფილდს თამაშობდა. ბიჭის მშობლებს, ყოფილ მსახიობებს, ძალიან არ უნდოდათ, რომ შვილი მათ კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ დანიელს მსახიობობა არ ასცდა. პარი პოტერის როლის შემსრულებელი ლონდონის კერძო სკოლაში სწავლობს, მისი სწავლა ოჯახს წელიწადში 12

ათასი დოლარი უჯდება. ახლა „პარი პოტერის“ მეორე სერიის გადაღებები მიმდინარეობს და დანიელი სკოლაში არ დადის, თუმცა ფილმის პროდიუსერები შეუთანხმდნენ ბიჭის მშობლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს, რომ ისინი მას რეპეტიტორებს დაუქირავებენ და ამდენად დანიელი ამხანაგებს არ ჩამორჩება.

მოულოდნელად თავსდატეხილ სახელსა და დიდებას თუ არ ჩავთვლით, დანიელი ბევრით არაფრით განსხვავდება თავისი თანატოლებისაგან. ძალიან უყვარს ტელევიზორით ამერიკულ მოჭიდავეთა სახუმარო ორთაბრძოლებს და მულტსერიალ „სიმფონიის“ ყურება. თავისი გმირის მაგიური თვისებებიდან კი რეალურ ცხოვრებაში უჩინაჩინად გადაქცევის უნარს ინატრებდა: „მაგარი იქნებოდა. შენ სადღაც მიდიხარ, ხალხი კი ვერ გამჩნევს.“

საზრიანი და მოხერხებული ჰერმონ გრენგერის როლს ფილმში 11 წლის ემა უოტსონი ასრულებს, პარის მეგობრის რომ უელსის როლს კი – 13 წლის ჰერტფორდში-რელი რუპერტ გრინტი.

რეჟისორ კრისტოფერ კოლაშუსისა და მისი გუნდის მიერ შექმნილი კინოპითი 2 საათსა და 32 წუთს გრძელდება. ფილმში უხეად არის კომპიუტერული გრაფიკის მაქსიმალური გამოყენებით მიღწეული გამოგონებული სპეცეფექტები. დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შემდგარ საპრემიერო ჩვენების შემდეგ ფილმმა პარი პოტერის შესახებ უმაღლესი პოლიფუდისეული სამემოსავლო რეკორდები. მარტო პირველ სამ დღეში ამერიკაში, სადაც იგი 8200 ეკრანზე გადიოდა, მაყურებლებმა 93,5 მილიონი დოლარი გაიღეს, ინგლისში კი – 23 მილიონი. კინოს ისტორიას ასეთი ფინანსური ტალღა ჯერ არ ახსოვს. წიგნის ავტორს, ჯოან როლინგის წილი შემოსავლის შვიდ პროცენტს შეადგენს.

სტუდია „Warner Brothers“-ის წარმომადგენლები, რომელმაც ფილმი გადაიღო, აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. სტუდიის დირექტორის განცხადებით, „პარი პოტერის“ გამოსვლა მათთვის ისტორიული მომენტია, რადგან ასეთი წარმატება იშვიათია. „ჩვენ ვამაყობთ იმით, როგორც ეს ფილმი მაყურებელმა მიიღო“, – განაცხადა ჰორნმა. „Warner Brothers“-ის დისტრიბუციის განყოფილების უფროსი ამას სენსაციას უწოდებს. „გრძნეულმა პარიმ მართლაც სასწაული მოახდინა“, – აცხადებს ის.

დიდი მოთხოვნილებაა „პარი პოტერის“ მიხედვით შექმნილ მარავალიცხოვან თამაშებსა და სათამაშოებზეც. მაგალითად, პარის ფიგურა 38 დოლარი ღირს, ხოლო თამაში „რბოლა ცოცხებით“ ორჯერ უფრო მეტი.

2002 წლის ნოემბერში გამოვა როლინგის წიგნის მიხედვით გადაღებული მეორე ფილმი „პარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“. მისი გადაღება უკვე დაწყებულია, სცენარისტი სტივ კლოვისი კი მორიგ გერძელებზე მუშაობს, ეს იქნება „პარი პოტერის და აზკაბანის ტუსალი“. ამ ფილმის პრემიერა მომავალი წლის ნოემბრისათვის არის დაგეგმილი.





# სიკეთისა და სიღაფაზის შემოქმედრი



თბილისის ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ დამაარსებელსა და უცვლელ ხელმძღვანელზე, ექიმ-კოსმეტოლოგზე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრზე, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელზე, საქართველოს ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრზე, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატზე, გაზეთ „ქალთა გაზეთის“ კონსულტანტზე, ღირსების ორდენის კავალერზე და მრავალი სხვა ტიტულისა და წოდების მფლობელზე ქალბატონ ლამარა ცუცქერიძეზე მოგახსენებთ...

## სიკეთის შემოქმედი ანუ ათასი კოცნა სინიორინო ლამარას

ქალბატონმა ლამარამ 24 წლის წინათ, 1978წელს შექმნა ნაძალადევის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ესპერანტოს კლუბი „ფლორო“, რომელიც მსგავსი ტიპის დაწესებულებათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. ამ ხნის განმავლობაში ასობით ბავშვმა შეისწავლა საერთაშორისო ენა ესპერანტო, ქართული და მსოფლიოს სხვა ხალხების ცეკვა-სიმღერა; ასობით გოგო-ბიჭმა შეისისხლხორცა ყოველი ადამიანისათვის მთავარი მცნებები – პატიოსნება, სიკეთე, კაცთმოყვარეობა, სხვათა თანადგომა, მოყვასის დასახმარებლად მზადყოფნა და სამშობლოს სიყვარული. ქალბატონი ლამარა, რომელსაც ეს თვისებები მშობლებმა, ღირსეულმა მამულიშვილებმა ბატონმა ალექსანდრე ცუცქერიძემ და ქალბატონმა ნუნუ კლდიაშვილმა ჩაუნერგეს, დღესაც ამასვე ასწავლის თავის აღსაზრდელებს უპირველესად. „ფლოროს“ სამუშაო კაბინეტში, იმავდროულად პირველი ქართველი ესპერანტისტის გიორგი ბაქრაძის სახელობის ესპერანტოს მუზეუმსაც რომ წარმოადგენს, ყველაზე თვალსაჩინო



ადგილას გამოკრულია ორ ქართულ და ესპერანტო ენაზე შესრულებული წარწერები – ილიას „ენა, მამული, სარწმუნოება“ – და აკაკის „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა“ აი ამ სულისკვეთების – მამულის, სამშობლოს სიყვარულით, მშობელი ხალხისთვის თავდადების და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობით ზრდის ქალბატონი ლამარა გოგო-ბიჭებს იმ თავით ამ თავადე. ძირითადი საგანი „ფლოროში“ ესპერანტოა, მაგრამ ლამარა მასწავლებლის წყალობით ისინი მარტო ესპერანტოს კი არ ეუფლებიან და მარტო ცეკვებსა და სიმღერებს კი არ სწავლობენ, არამედ ზრდილობიან, კეთილ, განათლებულ, გულისხმიერ და შრომისმოყვარე ადამიანებად იზრდებიან, იძენენ იმ თვისებებს, რომლებზეც უნდა აიგოს მომავალში თითოეული მათგანის ადამიანური მეობა, მოქალაქეობრივი მრწამსი და შეგნება. უთუოდ ამიტომაც აწყდება „ფლოროს“ ამდენი მსურველი, ამიტომაც მოუხარიათ ბავშვებს თავიანთ კლუბში, რომელსაც ლამარა მასწავლე-

ბელმა ასეთი ლამაზი სახელი შეურჩია („ფლორო“ ესპერანტო ენაზე ყვავილს ნიშნავს).

შემოდებენ კვირაში ორჯერ კლუბის კარს თვალმახარა ნინო თუ სოფო, გიორგი თუ ბექა, გვანცა თუ ნანა, მარიამი თუ თამარი, გურამი თუ კოტე, ნატო თუ ხატია, ლევანი თუ კახა, ნათია თუ მეგი, თათა თუ სალომე, მეგი თუ ხატია, ლიკა თუ გვანცა, ნესტანი თუ მაკა, ქეთი თუ ეკა, თეონა თუ მაია, პირღმიღიანები მიესალმებიან ლამარა მასწავლებელს – „სალუტო, სონიორინო ლამარა!“ და აუცილებლად აკოცებენ. კოცნითვე ემშვიდობებიან მეცადინეობის შემდეგ – „ჯისლარევიდო, სინიორინო ლამარა!“ მათთვის წინდაწინვე გამზადებული ნუგბარით ჩაიტკბარუნებენ პირს და ცოდნით გამდიდრებულები, გახალისებულები ბრუნდებიან შინ. ალბათ ამიტომაც მოუხარია თითოეულ მათგანს აგრერივად „ფლოროში“, ამიტომაც მოუწევს გული ლამარა მასწავლებლისკენ, ამიტომაც არ იშურებენ ამ გოგო-ბიჭების მშობლები ქალბატონ ლამარასთვის გულის სიღრმიდან წამოსულ სამადლობლო სიტყვებს. უკანასკნელის დასტურად მოვიშველიებთ მხოლოდ ორიოდ ამონარიდს „ფლოროს“ მუზეუმში დაცული ალბომებიდან: „ქალბატონო ლამარა, მადლობა კეთილი გულისთვის, იმ მშვენიერი სულისთვის, რომელიც თქვენ გამშვენებთ. ვის შეგადართო, არ ვიცი, რომელ დედოფალს, რომელ ქალღმერთს, ოთარაანთ ქვრივს თუ დედა ტერეზას“... ენების, ცეკვების, სიმღერების შესწავლა ყველგან შეიძლება, თქვენთან ბავშვები ზნეობრივად და სულიერად მადლდებიან“...

ვინ მოთვლის, რამდენი გოგო-ბიჭი დააფრთიანა „ფლოროში“ ლამარა მასწავლებელმა, რამდენს გაატანა ცხოვრების გრძელ გზაზე საგზლად ცოდნა, სიკეთე და სიყვა-



რული, რამდენი აკურთხა წრფელი გულით ამ გზაზე ღირსეულად სასიარულოდ! ახლა რამდენს აღმოაჩენინა საკუთარ თავში ნიჭი და მოწოდება! სწორედ მან დააკვლიანა მშვენიერი ხმის პატრონი, მომღერალი ლევა ჯანანაშვილი, რომელიც დღეს მილორავას სახელობის საესტრადო სასწავლებლის მოსწავლეა (ლეიკამ ახლახან გამართულ საესტრადო სიმღერის რესპუბლიკურ კონკურსში ლაურეატობა მოიპოვა), ასევე საესტრადო სასწავლებლის მოსწავლე ჩინებული სოპრანოს მქონე ლევა ბარბაქაძე, მან ჩაუნერგა საკუთარი თავის რწმენა მშვენიერ თამუნა ჯიჯურიძეს და ბევრს სხვას.

ქალბატონი ლამარა ვერც მაშინ ისვენებს, როცა ზაფხულობით ქალაქიდან გადის. მან მშობლიურ ბორჯომშიც ჩამოაყალიბა ესპერანტოს შემსწავლელთა კლუბი „მცირე ფლორო“ და იქაურ ბავშვებსაც ასწავლის ამ საერთაშორისო ენას, ცუკვას, სიმღერას, მათაც უწილადებს გულის სიტბოს და სიყვარულს.

**სილაგაზის შიმოქვილი, ანუ ათასი მადლოვა, ქალბატონ ლამარას!**

თავშივე მოგახსენეთ, რომ ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე ექიმი-კოსმეტოლოგიც გახლავთ და სწორედ ამ ამპლუაში მან ასობით თქვენს თანატოლს, ახალგაზრდა ქალსა თუ კაცს, ასაკოვან ადამიანს მიანიჭა ბედნიერება.

„ეს რთული ცხოვრებაც კი თქვენ გვერდით და თქვენთან ერთად სასი-

ამოვნო და მშვენიერია. ეს მხოლოდ გამორჩეულთა წილზედრია. თქვენ გამორჩეული და დიდებული პიროვნება, პროფესიონალი და ქალბატონი ბრძანდებით“.. „მე ბედნიერი ვარ, თქვენ რომ შეგვხვდით, თქვენ სასწავლო მოახდინეთ, ისეთი ლამაზი გამხადეთ, რომ ზოგჯერ მიჭირს დაჯერება. ძალიან მიყვარხართ და მიხნდა, რომ სულ ასეთი კეთილი, ლამაზი და ბედნიერი იყოთ!“.. „უღრმეს მადლობას გიხდით იმ სასწავლო-სთვის, რომელიც თქვენ მოახდინეთ... გმადლობთ, რომ ენერგია არ დაიშურეთ, ჩემ გასალამაზებლად. ბედნიერი ვარ თქვენ რომ შეგვხვდით, რადგანაც თქვენ დაუბრუნეთ ჩემს სულს სიმშვიდე, სახეს კი სინაზე და სილამაზე“...

ეს სიტყვები ქალბატონ ლამარას მადლიერ პაციენტებს ეკუთვნით. აქ მოყვანილზე ათასჯერ და ათი ათასჯერ მეტი წრფელი მადლობა აქვს მას მიღებული.

ქალბატონ ლამარას მადლობის წერილები უცხოეთიდანაც მოხდის – ისრაელიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან. ბევრს, ძალიან ბევრს გაულამაზა ლამარა ცუცქირიძემ თავისი ჯადოსნური ხელეობით პირი-სახე, ბევრი, ძალიან ბევრი განკურნა კანის სხვადასხვა დაავადებისგან, ბევრს, ძალზე ბევრ მოუხსნა არასრულყოფილების კომპლექსი, დაუბრუნა სიცოცხლის, საზოგადოებაში ყოფნის ხალისი.

სიკეთის ქმნა, ქველმოქმედება ამ დიდებული ქალბატონის ბუნებრივი

მოთხოვნილებაა. უშურველად გასცემს იგი გულის სიტბოს, ღიმილს, მუდამ ენერგიული და ხალისიანი სხვიანკვანადასცემს ოპტიმიზმს და ცხოვრებას უადვილებს. „ფლორო“ ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს მოხუცებულთა თავშესაფარში, ქალბატონი ლამარა კი საკუთარი სახსრებით შექმნილი სურსათითაც აპარავებს ხოლმე თავშესაფრის ბინადართ. მას ყოველთვის ეადვილება ალალი შრომით მოპოვებულის გაღება უმწეოთა და შეჭირვებულთა დასახმარებლად. ქალბატონ ლამარა ცუცქირიძეს უამრავი მადლობა, დიპლომი, სიგელი, საპატიო წოდება და მაღალი ტიტული აქვს მიღებული, მაგრამ ყველაზე მთავარი ჯილდო მისი აღზრდილების სიყვარული, მისი პაციენტების მადლობა და კიდევ მისი პიროვნული თვისებების და მოძიბვლელობის დამფასებელთა ლექსად გაწეობილი გულის სიღრმიდან წამოსული სიტყვებია.

**უზგვინიარს  
ბანოვანს, ესპერანტოს  
დიდოსტატს,  
ქალბატონ  
ლამარა ცუცქირიძეს**

ჩემს ნარმოსახვას  
დავუმორჩილე  
შენი ღვთიური სახის  
მშვენიერა.  
თუმც მავ ღირსების არ ვარ  
მოჩილე,  
სახენა შენი რად მეჩვენება?  
რად მეჩვენება, რომ წის  
კამარას  
არნივის ფრთებით  
ვუახლოვდები,  
რომ გარკუებულ ზედის ამარა  
ამ ქვეყნად ვისმე  
მოვავონდები...  
მავრამ გამოჩნდა სხივი  
ნათლისა -  
როს სასოება ველარ დამალა  
და სასწაულად, ნებითა  
ღვთისა,  
შემომიგება გზაზე ლამარა.

*უღრმესი პატივისცემით,  
მიხეილ აბრამიშვილი*







# მეოცნება ხარ თუ არა?

თუ ამის გაგება გინდა, უპასუხე ტესტის კითხვებს – „დიახ“, „არა“, „ზოგჯერ“.

1. თუ გიფიქრია მეცადინეობის ან რაიმე სხვა მოსაწყენი საქმიანობის დროს სულ სხვა რამეზე?
2. მიგაჩნია თუ არა, რომ ოცნება დროის ფუჭად ხარჯვაა?
3. თუ გივითხავს საკუთარი თავისთვის: რა იქნებოდა სხვა დროს, სხვა ქვეყანაში რომ დაუბადებულიყავი?
4. იქნებ ისე ხარ დატვირთული, რომ ოცნებისთვის უბრალოდ დრო აღარ გრჩება?
5. თუ დაგიყენებია ოცნებებში საკუთარი თავი რომელიმე ცნობილი პიროვნების ადგილზე?
6. დარწმუნებული ხარ, რომ ნორმალური ადამიანი არ იფიქრებს იმაზე, რაც წინა კითხვაში ითქვა?
7. გიყვარს თუ არა ოცნებებში პლანეტის ყველაზე ეგზოტიკურ ადგილებში მოგზაურობა?
8. იზიარებ თუ არა ანდაზაში ნათქვამს: „რაც არ შეშვენის ჩიორას, რად უფრი ასაკენადა“?
9. თუ წარმოგიდგენია თავი ყოვლისშემძლე მბრძანებლად, მმართველად, ადამიანთა სვე-ბედის გამრიგედ?
10. როგორ გგონია, საქმიანი ადამიანი სულით ხორცამდე პრაგმატიკოსი და რეალისტი უნდა იყოს და რაღაც ზღაპრულზე ოცნებისთვის დროს არ უნდა კარგავდეს?
11. თუ გიფიქრია, როცა იგებ, რომ ვიღაცამ დიდი თანხა მოიგო, თვითონ როგორ მოიხმარდი ამ ფულს?
12. სხვის დიდ მოგებაზე გული ხომ არ გწყდება, რეგვენებს იღბალი აქვთო?
13. იწყევს თუ არა შენში აღტაცებას ან თუნდაც სიამოვნებას ლამაზი პეიზაჟები – ზღვა, მთები, ჩანჩქერი, ჭალა და ა. შ.
14. გჯერა თუ არა უცნობი მფრინავი ობიექტებისა და უცხოპლანეტელების არსებობა?
15. რბილად რომ ვთქვათ, ირონიით ეკიდები მეოცნებე ადამიანებს?
16. შეგიძლია თქვა, რომ ყველას და ყველაფერს საღად აფასებ და არავითარი ილუზიები არ გაგაჩნია არც საკუთარ თავთან და არც სხვებთან დაკავშირებით?

შეკრიბე ქულები და დაადგინე, როგორ კატეგორიას განეკუთვნები.

## 60 ქულამდე (ჩათვლით).

შესაძლოა „რინის“ რეალისტი ხარ, შესაძლოა შენი შესხედულებები ცხოვრებასა და ადამიანებზე უგრძობელი კომპიუტერის საღ შეფასებას ჰგავს. და კიდევ: ალბათ, შენ ხშირად იმეორებ: „ქმარა ოცნება, მუშაობაა საჭირო!“ მოდი, შენს კონცეფციას სხვა თვალთ შევხედოთ. განა გვექნებოდა დღეს კომპიუტერები, თვითმფრინავები, ტელევიზორები და მრავალი სხვა, ადამიანები რომ არ ოცნებობდნენ? რომ არა ოცნება, ისევე ქვის ბარი და ნაჯახი ხომ არ გვექნებოდა? ასეთი აზრი არასდროს მოგსვლია თავში?

## 65-110 ქულა.

შენ იმ კეთილგონიერ მეოცნებეთა ტიპს ეკუთვნი, რომლებსაც საღი აზროვნებაც ახასიათებთ და ოცნებაც. შეგიძლია მშვენივრად შეათავსო საკუთარი ფანტაზიები და ოცნებები. შენს ოცნებებში არც ბროლის კომპებს აქვს ადგილი, არც ოქროს თევზებს და არც ჯადოსნურ წვირს, რადგანაც შენი ოცნებები სავსებით გარეყვეული რეალიებიდან გამომდინარეობს. სწორედ ამგვარი ტიპის ადამიანები იყვნენ არქიმედე და ლეონარდო და ვინჩი, დიზელი და ეინშტეინი, ათასობით სხვა უჭკვიანესი ადამიანი.

## 110 ქულაზე მეტი.

შენ ნაღდი მეოცნებე ხარ ამ სიტყვის სრული გაგებით, სულ ოცნებობ. თავისთავად ეს სულაც არ არის ცუდი, უარესი ის არის, რომ შენი ოცნებები ილუზიებს ბადებს, კიდევ უფრო უარესი კი ის არის, რომ იმლება ზღვარი ილუზიებსა და რეალობას შორის, რაც თვითონ შენც გაგირთულებს ცხოვრებას და შენს ირგვლივ მყოფთაც.



**10-10 ქულით შეაფასე ყოველი დადებითი პასუხი („დიახ“) 1, 3, 5, 7, 9, 11, 13 და 14 კითხვებზე, აგრეთვე უარყოფითი პასუხი („არა“) 2, 4, 6, 8, 10, 12, 15 და 16 კითხვებზე. 5-5 ქულა დაიწერე ყოველ პასუხზე „ზოგჯერ“, „მიჭირს პასუხის გაება“.**



# უკვდავების თეთრი ვარდი

(ზღაპარი)



იყო ერთი პატარა გოგონა. ბედნიერად ცხოვრობდა დედასთან ერთად, მაგრამ დედა ავად გახდა და მოკვდა, თონა დაობლდა. ბევრი დღე და ღამე გაატარა ტირილში. კიდეც შიოდა, კიდეც სციოდა, პატარა ხელებით კაბებს ირეცხავდა, სადილს იმზადებდა, ტყეში დადიოდა და შეშას აგროვებდა. ერთ ღამესაც ტირილით ჩაეძინა. თვალეზზე ცრემლი ჯერ არ შეშრობოდა, რომ კეთილი ფერია დაესიზმრა. უკვდავების თეთრი ვარდი მოძებნე და დედა გაგიცოცხლებდო, - უთხრა კეთილმა ფერიამ. წავიდა გოგონა უკვდავების ვარდის საძებნელად. ცხრა მთა გადაიარა, ბევრი იწვალა და ბოლოს ერთი კლდის წვერზე დაინახა ნანატრი ყვავილი. გზა თოვლით, ყინულით, ეკლებით იყო საესე. ისე ძალიან უნდოდა დედის გაცოცხლება, რომ არ შეუშინდა გაჭირვებას, შიშველი ფეხებიდან სისხლი სდიოდა, ჩხვლუტდა ეკლები, ყვინებოდა თითები, მაგრამ მაინც მიადწია მწვერვალს და მოწყვიტა უკვდავების თეთრი ვარდი. ბედნიერი ბრუნდებოდა უკან გოგონა. ერთი სურვილიდა ჰქონდა - მალე მიეტანა საფლავზე ვარდი და გაეცოცხლებინა საყვარელი დედიკო.

გზაში პატარა გოგონა შემოხვდა. მწარედ ტირიდა.

- რა გატირებს? - ჰკითხა თონამ.

- დედა მივედება. უკვდავების თეთრი ვარდი მინდოდა მის გადასარჩენად, მაგრამ სხვას მოუწყვეტია, ჩემს დედიკოს კელარაფრით ვუშველი.

ფეხებიდან ჯერ ისევ სისხლის სდიოდა თონას, მაგრამ შეეცოდა პატარა.

- მე დაგიტომბო უკვდავების თეთრ ვარდს, არ მინდა ჩემზე პატარამ გამოცადო ობლობის სიმწარე - უთხრა და ყვავილი გაუწოდა. პატარამ მადლობა გადაუხადა და გახარებული გაიქცა სახლისაკენ.

თონა ქვაზე ჩამოჯდა და ფიქრს მისცა თავი. ამ დროს კეთილი ფერია გამოეცხადა და უთხრა: კეთილი გოგონა ყოფილხარ, იმ პატარას გახარებისთვის მე დედას მაინც გაგიცოცხლებ, გაიქცე, დედიკო უკვე გელოდება!

საყვარელი დედიკო ეზოში შემოეგება თონას, გულში ჩაიკრა და უთხრა: გმადლობ შვილო, შენ სიცოცხლე მანუქე. შენი კეთილი გული უკვდავების ვარდზე ძლიერი ყოფილა!

ელისო მღებრიშვილი,  
სოფელ ქვაზერელის საშუალო სკოლის  
V-ბ კლასის მოსწავლე



აზა გორგოძე, I კლასი


ამ ნახატების ავტორები ადიგენის რ-ნის დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან




გვანცა ივანიძე, IV კლასი



თეა გელაშვილი



ნინო ფარცაჩაშვილი, VII კლასი



ქეთინო მერაბიშვილი, III კლასი





ნაძვი

ერთხელ, ზაფხულში, პაპაჩემს ტყეში გაგვევი. იქ სიმყუდროვე და ძალიან ბევრი ხე იყო. უცებ თვალი მოვკარი ერთ ძალიან ლამაზ ხეს, რომელსაც ფოთლების ნაცვლად, ციყვის კუდივით ფუმფულა ტოტები ჰქონდა, ოღონდ ეს ერთი შეხედვით – ახლოს რომ მივედი და ხელი შევახე, გვარიანად მიჩხვლიტა. გადავწყვიტე, ამ ხის ქვეშ ჩამოვმჯდარიყავი, რადგან რაღაცნაირმა სასიამოვნო სურნელებამ გამაბრუნა.

– არ მიეყრდნო, თორემ ნაძვის ცრემლი ტანისამოსს გაგიფუჭებს, – მირჩია პაპამ და ისიც მითხრა, რომ ნაძვის ცრემლებისაგან გემრიელი კევი მზადდება.

– მოდი, მოვაგროვოთ ნაძვის ცრემლი, – ვთხოვე პაპას.

– კარგი, შვილო, – დამთანხმდა ისიც და პატარა დანით ნაძვის ხეზე მიმხმარი ცრემლის აცლა დაიწყო.

ამასობაში კი ნაძვის ხეზე რაღა არ დავინახე! ნაირ-ნაირი მგალობელი ჩიტები, კუდბუთქუნა ციყვები. სადღაც კურდღელმა გაირბინა, შველიც დავლანდე...

ის იყო, თავი ნამდვილ ზღაპარში წარმოვიდგინე, რომ პაპას ხმაც გავიგონე, სახლში წავიდეთო, – მე ძახლა.

იმ ღამეს ბებომ ბევრი გემრიელი კევი გაგვეკეთა.

## დელოზილი

სოფელში ბევრი შინაური ფრინველი და ცხოველი გვყავს. ერთხელ ბებომ ინდაური დასვა კრუხად და ქათმის კვერცხებიც დაულაგა.

გავიდა დრო. ინდაურმა გამოჩეკა ჭუკები და მათთან ერთად – ფუმფულა ყვითელი წიწილებიც. სასაცილო სანახავი იყო, როდესაც იმხელა ჭუკების გვერდით პატარა წიწილები დარბოდნენ.

მე მეგონა, რადგან წიწილები პატარები იყვნენ, თავისზე დიდი დამები დაჩაგრავენ, მაგრამ მალე მივხვდი, რომ დედას შვილები ერთნაირად უყვარდა და წიწილებს არავის დაჩაგრივინებდა. დელოზილი შვილობილებს ნამდვილი დედასავით ექცეოდა. არ მეგონა, თუ ინდაურს ასეთ პატარა თავში ამდენი ტუნი ექნებოდა!

## ქურდობა

ვაშლა და ლამაზო ჭკვიანი ძროხები იყვნენ. ვაშლას ხბობა არ მახსოვს, ლამაზო კი დიდი კუნტრუმა და ჭკუამხიარული ბრძანდებოდა. ვაშლა იმდენს იწველიდა, რქელაც გვეოფნიდა, ყველადაც. მისი წყალობით კარაქიც ბევრი გვექონდა, მაწონიც და ხაჭაპურებიც. წველის დროს არც წიხლი იცოდა, არც კუდის ქნევა. ვცხოვრობდით ბედნიერად.

იმ საღამოსაც ჩვეულებრივ მოვწველეთ ძროხა, ეზოში დავებით და სახლში შევიყუყუეთ.

დილით ხმაურმა გამაღვიძა. ეზოში ბევრი ხალხი იყო. რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. გავოცდი და შევშინდი კიდევ. კიბეზე ჩავიბრბინე და ბებოსთან მივედი.

– რა მოხდა?

– წუხელ ვაშლა და ლამაზო მოგვპარეს! – მითხრა ბებომ და გულში ჩამიყრა.

ეზო მოვათვალიერე და ძროხების საბმურზე აჭრილი თოვები შევინიშნე. როგორც მერე გავიგე, ქურდებს ქარიანი და ბნელი ღამით უსარგებლიათ, თანაც არც ძალღი გვყავდა და აბა, ხელს რა შეუშლიდათ?

იმ დღის შემდეგ ეზოში გახედვისას გული ყელში მეჭვინებოდა, ნახირის მოსვლის დროს თვალებით სულ ვაშლას და ლამაზოს ვეძებდი. აღარც რძე გვექონდა, აღარც კარაქი და აღარც ყველი. ამ ჩვენს გაჭირვებას ღმერთიც ხედავდა, რომელმაც გვითხრა, „არა იპარო“. ვისაც ეს არ ესმის, ღმერთი დასჯის.

ჩვენ კი გადავწყვიტეთ, ხბო კიდევ გავზარდოთ და ძალღიც ვიყოლიოთ. „სჯობს გვიან, ვიდრე – არასდროს“.

## იპაპი

იყავი ირაკლია, ჩემი ნათლიის შვილიშვილი. ჩემს ნათლიას კი ნათელა-დეს ვეძახი. თუ იცით, რატომ? იმიტომ, რომ როცა დედა სამსახურში მიდიოდა, ჩემი ნათლია მივილიდა. მაშინ ირაკლი ჯერ არ იყო დაბადებული. სხვათა შორის, მე იაკის დედ-მამის ქორწილშიც ვიყავი. ხათუნას მსუქანი კაბა ეცვა.

იმას ვიყვებოდით, მთარა ნათლიაჩემმა, მთარა და იმდენი ქნა, ერთ მშენიერ დღეს ნათელა-დე დავუძახე. ახლა ორივენი ირაკლის ვუვლით. ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ბავშვია, მე ფოფოს მეძახის, ნათელა-დეს – ნანის. ფეხბურთის მის ენაზე გო ჰქვია, მუთაქას – მუნა-მუნა, მანქანებს – დიდი ვუ და პატიტა ვუ. ალუ ტელეფონია, კეცი – კეცი, აჩუ ცხენია...

ირაკლის მატარებელი აჩუქეს, ზედ პარიზი-ლონდონი აწერია. პარიზი-ლოლია ჩუქუ-ჩუქუთი ჩვენს მოგზაუროდ დავდივართ. თან დიდი ბარგი დავგაქვს – ბურთი – ბუთი, ჩაქუჩი – ცუცუ და სხვა საჭირო ნივთები...

ჩემი სასტუმრო პარიზში არის დიდი მაგიდის ქვეშ, ლონდონში კი – კარადაში.

მე და იაკი და-ძმასავით ვიზრდებით. ნეტავი, მერე რას დამიძახებს? ფოფო-დას ხომ არა?

15 სექტემბერს იაკი ორი წლისა გახდა და მე ეს მოთხრობა ვაჩუქე.





# ოჯოშხერი

მაია მაჩაბლიშვილი თბილისის 94-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელია. ძალიან უყვარს პოეზია და თვითონაც ცდის კალამს, ლექსის სტრიქონებში თავის ფიქრებსა და ოცნებებს.

## ალარ მინდა შენზე ფიქრი

მინას ხატავს სევდიანი ყინვა,  
ჩანაქსოვში ჩაერია თოვლი,  
ქუჩას ვუშურ, შენ გამოჩნდი მგონი,  
აი, უკვე მოეფარე ჩემს სახლს.  
რა იქნება, რომ გამოჩნდე კვლავარ,  
რა იქნება, შენახული გქონდეს  
იმ პირველი სიყვარულის გრძნობა.  
თვალეებს ვხუჭავ, ღვარად მომდის წრემლი,  
მოჭრიადლი, სიტყვა მითხარ ერთი,  
ვარ ვუშველოთ ჩვენ ჩვენს პირველ სიყვარულს,  
ალარ არის აღარაფრის იმედი,  
ალარ მინდა შენზე ფიქრი მეტი...

## მოჩვენებითი რწმენა

ნაქრული ხე ნამოაყენე,  
გამხმარი ტოტი კვლავ ააყვავე  
და აღადგინე სულში ის რწმენა,  
რომ დაგყვებოდა ვითარცა თმენა.  
მავრამ ზოროტი ქარ, მოვარდა,  
გამხმარი ტოტი ძირს ჩამოვარდა,  
როგორ მტეროდა აქამდე შენი,  
ან კი დაინყო ტანჯვისა დღენი.



ეკატერინე  
ბუთლიაშვილი,  
I კლასი.



გულადი  
ნატრიაშვილი,  
I კლასი.



მარიამ აბულაძე,  
IV კლასი.



ლენიდე  
ბელოვი,  
IV  
კლასი.

ნახატავის ავტორები არიან აღიზანის რაიონის ღაბა აბასთუმის საშუალო სკოლის მოსწავლეები.



თამუნა  
ყულჯანიშვილი,  
IV კლასი.



**14 თებერვალს ზოგი ერთმანეთს გულის მოყვანილობის სასიყვარულო წერილებს უგზავნის, ასე ამბობენ, დღეს წმინდა ვალენტინის ანუ სიყვარულის დღეა და ასეა მიღებული. აკვიხებით, რა დღესასწაულია ეს და ვინ აღნიშნავს მას.**

**თააკო ბერიძე, ლელა ოზბაიძე, თბილისი.**

კათოლიკურ კალენდარში 14 თებერვალი წმინდა წამებულ ვალენტინის დღეა. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ეკლესია ამ წმინდანის სახელს შეეყვარებულა არ უკავშირებს და ამ დღეს იმპერატორ კლავდიუსის ბრძანებით რომში სარწმუნოებისთვის სიკვდილით დასჯილ მოწამეს უძღვნის.

ვალენტინის დღის დაწესებას სხვადასხვაგვარად ხსნიან. ზოგი მის სათავეს წარმართობაში ეძებს. ცნობილია, რომ ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ძველ დღესასწაულებს ახალ სარწმუნოებას მთარგმბდნენ ხოლმე. ვთქვათ, მათ იმ წმინდანს მიუძღვნიდნენ, რომლის მოწამებრივი სიკვდილი წარმართული რიტუალის აღსრულების დროს ემთხვეოდა. თებერვლის შუა რიცხვებში რომში ეწყობოდა ლუპერკალიები - ფაუნუსის (მესაქონლეთა მფარველი, ჭაღებისა და ტყის ღვთაება) საპატივცემულო ხმაურიანი დღესასწაული, მაგრამ მხელია იმის თქმა, რომ შეეყვარებულთა დღეს სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ. თუნდაც იმიტომ, რომ რომაელები ნაყოფიერებისა და ოჯახური სიყვარულის ქალღმერთის - იუნონასადმი მიძღვნილ დღესასწაულსაც ადრეულ გაზაფხულზე ზეიმობდნენ.

რეალური ქრისტიანი ვალენტინის ცხოვრების შესახებ კი ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. იგი III საუკუნეში დაბადებულია რომის იმპერიის ქალაქ ტერნიში. ვალენტინი ეპისკოპოსი ყოფილა და სამედიცინო პრაქტიკასა და სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა. რომის იმპერატორმა კლავდიუს II-ემ (მარკუს ავრელიუსმა) თავის ლეგიონერებს მკაცრად აუკრძალა ცოლის შერთვა, რათა ლაშქრობის დროს გულს სახლში არ გაეწია. მეომრებს მსხნელად მოეგონა მამა ვალენტინი, რომელიც ფარულად სწერდა ჯვარს ლეგიონერებს და მათ რჩეულებს. იმპერატორმა შეიტყო ამის შესახებ და ეპისკოპოსის დილეგში ჩაგდება ბრძანა, 270 წლის 14 თებერვალს განთავსდა კი მამა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს, თავი მოკვეთეს.

ციხეში ყოფნისას ვალენტინის თავისი ჯალათის ბრმა ქალიშვილი შეყვარებია და განუკურნავს - თვალა აუხსლია მისთვის, ხოლო სიკვდილით დასჯის წინ სატრფოსთვის გამოსათხოვარია ბარათი დაუწერია და ბოლოში მიუწერია: „შენი ვალენტინი“. აქედან მომდინარეობს ღია ბარათი - „ვალენტიწყები“ და თავად ვალენტინობაც.

## სიყვარულის დღე



ზუსტად არავინ იცის, სად არის დაკრძალული ვალენტინი. ესპანელები მიიჩნევენ, რომ ეპისკოპოსის ნეშტი მადრიდში, წმინდა ანტონიუსის ეკლესიაშია დაკრძალული, შოტლანდიელები დარწმუნებულები არიან, რომ ვალენტინის წმინდა ნაწილები ჯერ გლაზგოში, ფრანცისკანელთა ეკლესიაში ინახებოდა, ამჟამად ამავე ქალაქის ჯონ დანსის კათოლიკურ ეკლესიაში დაცული. სხვები ამტკიცებენ, წმინდა ნაწილები რომში, ტერნიში, გენჯინოშია დაცული.

როგორ აღნიშნავდნენ წმინდა ვალენტინის დღეს ადრე? შუა საუკუნეების ინგლისში მოძავილი წლისთვის ყველა ირჩევდა თავის „ვალენტინს“ ან „ვალენტინას“. ყუთში უშვებდნენ ქალადის ფურცლებს ქალიშვილთა სახელებით, მერე ამ ფურცლებს ჭაბუკი უდებდნენ. თუ რომელიმე ჭაბუკი უდებდა სამჯერ ამოიღებდა ერთი და იგივე ქალიშვილის სახელს, მათი შეუღლება გარდაუვალი იყო. მერე და მერე ეს სახუმარო ტრადიცია ცოლშვილიან მამაკაცებსაც მოეწონათ. მამაკაცი ვალენტინები სიამოვნებით ჩუქნიდნენ ქალებს ხელთათმანებს, ბეჭდებს, უბრალოდ ფულს. ბავშვებს კი ამ დღეს ტკბილეულით და წერილი ფულით ასაჩუქრებდნენ.

ნაბეჭდი სახის საჩუქრები პირველად ლონდონის მალაზიებში 1761 წელს გამოჩნდა. თავდაპირველად ეს ორნამენტებით შემკული მარტივი ბალადები და ლექსები იყო. მოგვიანებით კი - დასაკეცი ღია ბარათები, რომლებშიც საკუთარ წერილს ათავსებდნენ. დედოფალ ვიქტორიას ეპოქაში ახალგაზრდა ლედი მთერ ვალენტინის დღეს მიღებული ღია ბარათების რაოდენობა საზოგადოებაში მისი წარმატების მაჩვენებელი იყო.

ბის მჩვენებლად ითვლებოდა. ამ ჩვეულების მწვერვალი 1870 წელს აღინიშნა, როცა ფოსტამ 1545735 წერილი დაარეგისტრირა. გამოხდა ხანი და ეს ტრადიცია ერთგვარად დაიწყებას მიეცა, მაგრამ ბოლო ხანებში იგი კვლავ გაიხსენეს.

დღეს წმინდა ვალენტინის დღეს ათასგვარ საჩუქარს ჩუქნიან: ღია ბარათებს, ტორტს, ბრილიანტებს - ოღონდ ყველაფერი გულის მოყვანილობის უნდა იყოს.

მადრიდელები წმინდა ვალენტინის დღეს იმით იწყებენ, რომ წმინდა ანტონიუსის ეკლესიაში მიდიან იქ დაცული წმინდა ვალენტინის ნაწილების მოსახილველად. ამ დღეს საჩუქრების მირთმევა აუცილებელია, ამასთან, როგორც წესი, საჩუქარი მოკრძალებულია ხოლმე - ყვავილები, შოკოლადი, პარფიუმერია და აუცილებლად ღია ბარათები, რომლებშიც ადამიანები სიყვარულს უხსნიან ერთმანეთს.

უდარდელი იტალიელები შეეყვარებულს ძირითადად ტკბილეულს ჩუქნიან და იტალიაში ამ დღეს ასეც ჰქვია - „ტკბილი დღე“.

გალანტურმა ფრანგებმა პირველებმა შემოიღეს გალექსილი სასიყვარულო ბარათების გაგზავნა. თუმცა დღეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ბარათებზე მეტად ის ახარებთ, თუ გულის მოყვანილობის კოლოფით ბარათს კი არა, სამკაულს დებულობენ. იაპონიაში ეს დღე მარტო შეყვარებულებს როდი ეკუთვნის. ბარათებს უბრალოდ კარგი მეგობრებიც უგზავნიან ერთმანეთს, საღამოობთ კი ახალგაზრდობა კაფეებში იერიბება და ტკბილეულს შეეძევება.

ფინელები 14 თებერვალს სიყვარულის დღეს აღნიშნავენ და კეთილგანწყობის ნიშნად ერთმანეთს გულის მოყვანილობის საჩუქრებს ჩუქნიან. ამ დღეს ფინეთში დედებსაც ჩუქნიან ათასნაირ საჩუქარს. ის კი არა, საბავშვო ბაღშიც კი ბავშვები ქალადისგან პატარ-პატარა გულებს ჭრიან, ზედ სასიყვარულო სიტყვებს აწერენ და მშობლებს და ახლობლებს ჩუქნიან.

ხოლო ამერიკელები, როგორც წესი, ამ დღეს ყვავილებით და გულის მოყვანილობის კოლოფებში ლამაზად დაფასოებულ ტკბილეულს ჩუქნიან ერთმანეთს.



# ანა ჯაფარიძე „ფრისტაილის“

# ტყუპები



ანა და ლევან ბზიშვილები ტყუპები არიან. ორივენი თბილისის სკოლა-ლიცეუმ „რიტორში“ სწავლობენ. ცხადია, საერთო ძალზე ბევრი რამ აქვთ. კლასის დამრიგებელი ქალბატონი ნანა ქუთელია ტყუპებს ახასიათებს როგორც ზრდილ, თავზიან, უაღრესად ნიჭიერ, ბეჯით, შრომისმოყვარე და დიდი პოტენციალის ბავშვებს. თუმცა განსხვავებული თვისებებიც ახასიათებთ. მაგალითად, ანა უფრო მომთხოვნიია საკუთარი თავის მიმართ, და ყველაფერს უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება – გარდა იმისა, რომ საუკეთესო ათვისების უნარი აქვს, იგი ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდეს ამა თუ იმ მოვლენის თუ საგნის არსს. ლევანს კი უფრო რომანტიკოსი ეთქმის, მოვლენებსაც უფრო რომანტიკულად აღიქვამს, ამ მოუსვენარი და ანც ბიჭში აშკარად იგრძნობა შემოქმედის ბუნება.

ტყუპებს ძალიან უყვართ ქართული ცეკვები, ისინი სკოლასთან არსებულ ანსამბლ „შემოქმედში“ ცეკვავენ. ანას და ლევანის „ქართული“, „ხევსურული“, „განდაგანა“ საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. ლევანი სარაიონო დელფინადების მრავალჯგზის გამარჯვებულია, მან ფოლკლორიადამშიც გამოიჩინა თავი და საუკეთესო დებიუტანტის სიგელით დაჯილდოვდა. სიგელები, დიპლომები, მაძლობები ანასაც და ლევანსაც იმდენი აქვთ მიღებული, რომ მშობლებს ლამის ახლავე სათვალავი აერიათ, ეჭვი არ არის, რომ მერე და მერე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ტყუპები კიდევ მრავალჯერ ისახელებენ თავს სწავლაშიც, ცეკვაშიც და სხვა ასპარეზზეც.

ანას ყოველთვის უყვარდა ცეკვა. საოცრად პლასტიური გონა სულ მოძრაობდა, ცქრიანობდა, სიარულითაც სულ ცეკვაცეკვით დადიოდა, იმთავითვე ცხადი იყო, რომ საბოლოოდ მისი სტიქია ცეკვა უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა.

მეოთხე წელია ანა ჯაფარიძე თანამედროვე ცეკვების ტულია „ფრისტაილის“ წამყვანი სოლისტია. ამ ხნის მანძილზე მრავალ წარმატებას მიაღწია. პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება სპორტული ცეკვების საქალაქო კონკურსში მოპოვებული II ადგილი იყო, ამას მოჰყვა საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის მიერ ჩატარებულ ბავშვთა შემოქმედების ფესტივალ-კონკურსის „ჩემი ლამაზი ქვეყანას“ ლაურეატობა, დიპლომი „უმაღლესი სამემსრულებლო ოსტატობისთვის“ და მრავალი სხვა.

ანას ფიზიკური მონაცემები, პლასტიურობა, რიტმის შერგნება ძალზე კარგად მოერგო თანამედროვე ცეკვებს, კლასიკაზე დაფუძნებულ მოდერნბალეტის სტილს და სულ მალე იგი „ფრისტაილის“ წამყვანი სოლისტის, სტუდიის სულისა და გულის სარეკარიჭაშვილის უცვლელი პარტნიორი გახდა. ანაც და სარიც ცეკვისთვის არიან დაბადებულები, ერთნაირად ესმით ამა თუ იმ ცეკვის შინაარსი, ბუნება და ამიტომაც ადვილად უკებენ ერთმანეთს. მოცეკვავის პროფესია დიდ გარჯას და ოფლის მოწურვას მოითხოვს, მაგრამ ანას ეს არ აშინებს, ბევრს შრომობს, ფიქრობს, ყოველდღიურად ხეწს ოსტატობას, ეძებს, ვიდრე სრულყოფილებას მიაღწევდეს, ასჯერ-ორასჯერ იმეორებს თითოეულ მოძრაობას. ბევრი რამ სარიცმა ასწავლა, იგი ახლაც ძალიან ეხმარება ანას და თავისივე დადგმული ცეკვების შესრულებასაც სიამოვნებით ანდობს. ამიტომაც მათი გამოსვლა კონკურსსა თუ ჩვენებაზე, შოუში თუ კონცერტზე ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს.

ცეკვის უსაზღვრო სიყვარული, საუცხოო ბუნებრივი მონაცემები, არტისტიზმი და შრომისმოყვარობა იმის საწინდარია, რომ ანა ჯაფარიძე ძალიან მალე გაიზრდება როგორც მოცეკვავე და თავის ადგილს დაიკვიდრებს თანამედროვე ქორეოგრაფიაში.





# რატომ ვაძჭობთ ასე?


**უკანასკნელი მოპიკანი.** რაიმეს – საზოგადოებრივი გჯუფის, თაობის, წარმავალი სოციალური მოვლენის უკანასკნელი წარმომადგენელი. ამ გამოთქმის თავწყაროა ფენიმონ კუპერის რომანი „უკანასკნელი მოპიკანი“ (მოპიკანები ჩრდილო ამერიკის ინდიელთა გადაშენებული ტომია).

**თათარიანხად** – სახელდახელოდ, მიფუჩეხებით. თათარიანხი – სახელდახელოდ, ნაუცბათეუად, მშრალად მოხარმული, შუენელებელი ხორცი. იანხი თურქულად წვენს ჰქვია, ხოლო თათარი – სწრაფს, მოჩქარეს.

**სიფთა შენი – ბარაქა ღეთისაო.** კარგი ხელი გაქვს, ჩემთვის არაფერი გენანება. სიტყვა „სიფთა“ აღებ-მიცემაში იხმარება, როცა ვაჭარი დილით საქონელს გაჰყიდის და მუმტარი პირველად გადაუხდის საქონლის ფასს, ამას სიფთა ჰქვია. თვით სიტყვა არაბული და ნიშნავს პირველს, დაწყებას.

**ტაბიკების მტვრევა** – გაბრაზება, გაცხარება, ჭირვეულობა. ხარის მიერ ტაბიკების მტვრევა მისი მხრით მოითხოვს სხეულის, განსაკუთრებით თავ-კისრის ძალდატანებით მოძრაობას, კუნთების უკიდურეს დაძაბვას, სანამ აპეურებით მოჭერილი ტაბიკები დაიმტვრეოდეს და გაავეებული ხარი კისერს გამოიშვერდეს. ხარის ამგვარ საქციელსაა დადარებული გაბრაზებული ადამიანის ქცევა, რომელიც გაცხარებით აწყდება აქეთ-იქით.

## რა და რა ჰქვია რას და რას



წენელის ღობე

ხიმეს ღობე

სარის ღობე

კულადებული ღობე

## სოფლის კვან

**კვირაცხოველი** – პირველი კვირა აღდგომის შემდეგ, ახალი კვირა

**კვირაძალი** – კვირა დღის წინა საღამო, შაბათ-საღამო, დაახლოებით მზის ჩასვლიდან

**კვირისტავი** – თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი სამძიმი, ხის, ქვის, ლითონის ან თიხის რგოლი თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად

**თითისტარი** – თავსა და ბოლოში წვრილი ჩხირი, რომლითაც ძაფს ართავენ

**თითლიბაზი** – პირფერი, ქლესა, ფარისეველი

**თლაშო** – არყის სასმელი თლილი ჭიქა

**იკლიკანტობა** – დახლართულობა

**კაჭრობა** – გველის წივილი

**ლოპო** – სისველე, რომელიც ხეს ჩაუდგება გაზაფხულზე

**ლორთქო** – ნორჩი





თუმცა საფრენ თვისებებს მოკლებული ფრთების მქონე თანამედროვე სირაქლემას ფრინველი ძნელად ეთქმის, ეს ძლიერფეხება, სწრაფი და გამძლე მორბენალი დღეს დედამიწაზე მაინც ყველაზე დიდ ფრინველად ითვლება. სირაქლემას სიმაღლეა 2,44 მეტრი, იგი 130 კილოგრამს იწონის, მისი კვერცი კი - 1200-1600 გრამს. სირაქლემა აფრიკის უტყეო, გამდიდრ სივრცეებში ბინადრობს, თუმცა მოგვიანებით იგი სამხრეთ ავსტრალიაში შეიყვანეს. ერთი ხანობა სირაქლემის ბუმბული ძალზე მოდური იყო და დიდად ფასობდა. ამიტომაც დაიწყო მისი ფერმეებში მოშენება. მერე მოდა ერთგვარად შენედა და ეს მორბენალი ფრინველიც თავის ნებაზე მიუშვეს.

ახალხან კი ლამის მთელ მსოფლიოში კვლავ დაიწყო სირაქლემის მოშენება. სირაქლემის გემრიელ ხორცზე დიდი მოთხოვნილებაა, ხოლო მას შემდეგ რაც ევროპაში მსხვილფეხა საქონელსა და ცხვარს ციმბირის წყლული მოედო და ხალხი ფრინველის ხორცზე გადავიდა, მას კიდევ უფრო დიდი ფასი დაედო. სირაქლემის მოშენებას საქართველოშიც მიჰყვება ხელი.





# „ჯადოქრობის 100 წელი“



შარშან 5 დეკემბერს შესრულდა მულტიპლიკაციის ჯადოქრის უოლტ დისნეის დაბადების 100 წლისთავი. თუმცა თავად იუბილე ზუსტად ამ დღეს აღინიშნა, ამ თარიღისადმი მიძღვნილი კამპანია სახელწოდებით „ჯადოქრობის 100 წელი“ მთელი წელი გასტანს და მას მარტო ამერიკაში კი არა, მთელ მსოფლიოში ჩაატარებენ.

მიკი-მაუსის, დონალდოს, პლუტოს, ფიფქიას, შვიდი ჯუჯას, ბემბის და მთელი მსოფლიოსათვის საყვარელი სხვა მულტგმირების შემქმნელი, კეთილი ჯადოქარი უოლტერ დისნეი დღემდე რჩება რეკორდსმენად ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ოსკარის“ მფლობელთა შორის. დიახ, მას 59 ნომინაციით 26 „ოსკარი“ აქვს მიღებული.

უოლტერ ელიას დისნეი დაიბადა 1901 წლის 5 დეკემბერს, ჩიკაგოში. მალე ოჯახი, რომელშიც მის გარდა კიდევ ოთხი ბავშვი იყო, მისურის შტატში, პატარა ქალაქ მარსელინში გა-

დასახლდა. სწორედ იქ გამოაჩნდა პატარა უოლტს ხატვისა და კომერციის ნიჭი. შვიდი წლის ბიჭუნა მეზობლებს ხატავდა და მერე თავის „ნანარმოებებს“ მათ შორისვე ასალებდა. უოლტი სულ ხატავდა: ნახშირით სახლის კედლებზე, ცარცით სკოლის დაფაზე. ხატავდა და თან ათასგვარ ამბებს ყვებოდა. ხატვის სიყვარული მთელი სიცოცხლე გაჰყვა.

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დისნეი საფრანგეთში წითელი ჯვრის „სასწრაფო დახმარების“ მძღოლად მუშაობდა და მისი მანქანა საომარი ვითარების მოთხოვნათა შესაბამისი კამუფლაჟით კი არა, ნახატებით იყო აჭრელებული. ომიდან დაბრუნებული მულტიპლიკაციით „დაავადდა“. პირველი ცდები უშედეგო გამოდგა. მაგრამ უოლტს განზრახვაზე ხელი არ აუღია.



თავდაპირველად გარაჟში მუშაობდა, ლამეებს ათენებდა, ეძებდა. თავისი პირველი ფილმი „სიცილგრამა“ ერთი მოუხეშავი, უზარმაზარი აპარა-


ტით გადაიღო. „როლიკი“ გაიყიდა, რა დაატყო, რომ ასეთ პატარ-პატარა ფილმებზე მოთხოვნილება იყო, უოლტმა ფირმა შექმნა და მისი პრეზიდენტი გახდა. მაგრამ ამ ნაბიჯმა არ გაამართლა. წარუმატებლობამ სურვილი უფრო გაუცხოველა და დისნეიმ ახლა ჰოლივუდს მიაშურა. მაგრამ იქ ვერაფრით დაასაქმეს და იგი კვლავ მულტფილმებს მიუბრუნდა. ისევ გარაჟი, ისევ ნაქირავეები დანჯღრეული აპარატი და ისევ ექსპერიმენტები. „ალისა ნახატ სამყაროში“ — ასე ერქვა ფილმს, რომელშიც ნახატ ეპიზოდებს ცოცხალი ბავშვების თამაში ენაცვლებოდა. მისი სცენარისტიც, რეჟისორიც, ოპერატორიც და მხატვარიც თვითონ უოლტ დისნეი იყო. ფილმით არავინ დაინტერესებულა, მერე კი მოულოდნელად ერთმა ნიუიორკელმა საქმოსანმა ათას ხუთას დოლარად იყიდა „ალისა“ და კიდევ ათამდე ასეთივე ფილმი შეუკვეთა და თუმცა მოგვიანებით დამკვეთმა კონტრაქტი გააუქმა, დისნეიმ მაინც გააგრძელა „ალისას სერია“ და სახელიც გაითქვა.

ამასობაში ხმოვანი კინოც დაიბადა და დისნეიმ მიკი-მაუსი აამეტყველა. სხვათა შორის წრუნუნა მან თავად გაახმოვანა. დაიწყო აღმასვლა, რომელმაც სახელი, დიდება და მსოფლიო აღიარება მოუტანეს. 1932 წლის უოლტ დისნეიმ პირ-



რველი „ოსკარი“ მიიღო. ეს ჯი-  
 ლდო მას მოუტანა პირველმა  
 ფერადმა ნახატმა ფილმმა „ყვა-  
 ვილები და ხეები“. 1935 წელს  
 მოსკოვის პირველ საერთაშო-  
 რისო ფესტივალზე მესამე პრე-  
 მით აღინიშნა უოლტ დისნეის  
 „უცნაური პინგვინები“, „მიკი-  
 დირიჟორი“ და „სამი გოჭი“.  
 „სამი გოჭი“ ეკრანზე გამო-  
 სვლისთანავე უმაღლეს კინოპიტად  
 იქცა, ხოლო სიმღერა ამ ფი-  
 ლმიდან „მგელი ვერას დაგვა-  
 კლებს“... ლამის მთელმა მსო-  
 ფლიომ აიტაცა. იმავე წელს  
 დისნეი ერთა ლიგის მედლით  
 დაჯილდოვდა.

„ყველაფერი წრუნუნათი და-  
 ინყო“ — ამბობდა ხოლმე იგი  
 მოგვიანებით. დიას, ყველაფერი  
 ხალისიანი და სასაცილო მიკი-  
 მაუსით დაინყო. მიკის დები-  
 უტი ეკრანზე 1928 წელს 18 ნო-  
 ემბერს შედგა, ნიუ-ორკში ფი-  
 ლმში „გემი „ვილი“. მოგვიანე-  
 ბით გაჩნდნენ მინი, იხვი დო-  
 ნალდი, ძაღლები პლუტო და  
 გუფი, სხვა მრავალი. მაგრამ  
 წარმატების მწვერვალი უდაოდ  
 იყო „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“  
 — მსოფლიოში პირველი სრუ-  
 ლმეტრაჟიანი მულტიპლიკაცი-  
 ური ფილმი. ამ ფილმისათვის  
 მილიონამდე ნახატი გაკეთდა,  
 მათგან ფილმში 250 ათასი შე-  
 ვიდა. დისნეი დიდხანს ეძებდა  
 „ცოცხალ ნატურას“ და ბოლოს  
 მიაგნო. 17 წლის მოხდენილი  
 და მომხიბვლელი მერჯერი ბე-



პერსონაჟებს, აცოცხლებდა მათ.  
 ასევე დიდხანს ეძებდა დისნეი  
 ფიფქიას ხმასაც. უამრავი ხმა  
 მოისმინა და ბოლოს ადრიენე  
 კაზიბლოტიზე შეჩერდა, მისი  
 ვერცხლივით წვრილა, სასი-  
 ამოვნო ინტონაციებით სავსე  
 ხმა საუცხოოდ მოერგო მშვე-  
 ნიერი პრინციესას მხატვრულ სა-  
 ხეს.

„ფიფქიამ და შვიდმა ჯუ-  
 ჯამ“ არნახული წარმატება მო-  
 უტანეს დისნეის, ხოლო წარმა-  
 ტებასთან ერთად — შემოსავა-  
 ლიც. „ფიფქია“ 1937 წლის 21  
 დეკემბერს გამოვიდა ეკრანე-  
 ბზე და ერთ წელიწადში მილე-  
 ბულმა შემოსავალმა რამდენჯე-  
 რმა გადააჭარბა გადაღებაზე  
 განეულ საწარმოო ხარჯებს —  
 ორ მილიონამდე დოლარს.  
 უოლტ დისნეის სტუდიის  
 ისტორიაში კიდევ მრავალი  
 ბრწყინვალე გამარჯვება იყო:  
 „პინოქიო“, „ბემბი“, „დამბო“...  
 სულ სტუდიამ ასზე მეტი სუ-  
 რათი გადაიღო. დღეს „უოლტ  
 დისნეი“ სიდიდით მეორე კო-

მპანიაა გართობისა და მასო-  
 ბრივი კომუნიკაციების მსო-  
 ფლიო ინდუსტრიაში. მისი  
 პროდუქციისაგან მიღებული სა-  
 ერთო წლიური მოგება 25 მი-  
 ლიარდ დოლარს შეადგენს.  
 დღეს აქ მარტო მულტფილმებს  
 კი არ იღებენ, არამედ ჩვე-  
 ულებრივ მხატვრულ ფილმე-  
 ბსაც, მართავენ სატელევიზიო  
 შოუებს. გარდა ამისა, დისნეის  
 ინდუსტრიაში შედის თემატური  
 პარკები, დისნეის სავაჭრო ნი-  
 შნებით, ლიცენზირებული სა-  
 ქონლით მოვაჭრე საწარმოები.

წელს დისნეის პარკებს 50  
 მილიონი მნახველი ეწვია, 200  
 მილიონმა კი ერთხელ მაინც  
 ნახა დისნეისეული ფილმი ან  
 ვიდეოჩანაწერი. 212 მილიონი  
 ადამიანი, განსაკუთრებით ბა-  
 ვშვები, სიამოვნებით უსმენს მე-  
 ლოდიებს ამ ფილმებიდან. თუ-  
 მცა ისიც უნდა ითქვას, რომ  
 ამჟამად კომპანიის წმინდა შე-  
 მოსავალს სახარბიელო არ  
 ეთქმის. კონკურენტმა კინოსტუ-  
 დიამ „უორენ ბრაზერსმა“ სა-  
 მკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა  
 გამოუცხადა დისნეელებს, მიკი-  
 მაუსს ბაგბ-ბანი, ტომი და  
 ჯერი და სხვა კონკურენტებიც  
 უტევენ.


უარყოფითად იმოქმედა ბი-  
 ზნესზე 11 სექტემბრის ტერა-  
 ქტებმაც — შეშინებული ადა-  
 მინები შინ ჯდომას ამჯობი-  
 ნებენ.

მაგრამ უოლტ დისნეის არა-  
 ჩვეულებრივი შემო-  
 ქმედება უკვდავია,  
 ეს კეთილი და ლა-  
 მაზი თავდაპირველი,  
 და არა კომპიუტე-  
 რული მონსტრებით  
 ნახდენილი სამყარო  
 კვლავ და კვლავ მი-  
 იზიდავს მილიონო-  
 ბით მაყურებელს  
 მთელ მსოფლიოში.





# სიცვილის ბაკვეთილი



— რომელი კბილი  
ეზრდება ადამიანს ყვე-  
ლაზე ბოლოს? — ჰკითხა  
მასწავლებელმა გრიცს.

— ხელოვნური კბილი,  
ბატონო მასწავლებელო,  
— მიუგო მან.

☺ ☺ ☺

— ჯიმ, რატომ გამო-  
გადეს ანატომიის გა-  
კვეთილიდან?

— იმიტომ რომ გაკვე-  
თილს რომ ვპასუხობდი,  
საკუთარ ნეკნებს ვი-  
თვლიდი და მასწავლე-  
ბელმა ეს „შპარგალკად“  
ჩამითვალა.

☺ ☺ ☺

— როგორ მიგიხვდა  
დედა, რომ პირი არ და-  
გიბანია? — ჰკითხა ელე-  
ნმა ძმას.

— პირსახოცის დასვე-  
ლება დამავინცდა, — უპა-  
სუხა მან.

☺ ☺ ☺

დედა: დალიე შვილო,  
წამალი. როცა ბებია გა-  
სმევს, მაშინ ხომ სიამო-  
ვნებით სვამ, ახლა რაღა  
დაგემართა?

შვილი: როცა ბებია მა-  
სმევს, ხელი უკანვალებს  
და კოვზზე აღარაფერი  
რჩება ხოლმე.

☺ ☺ ☺

დედა: ფრიც, დღეს დი-

ლით ხელები დაიბანე?

ფრიცი: დავიბანე,  
ოღონდ მარტო მარჯვენა,  
მარცხენა სუფთა მქონდა.

☺ ☺ ☺

მშობელთა კრებაზე ჟა-  
კის მამა ეუბნება ფიზი-  
კის მასწავლებელს:

— რა ვქნა, ბატონო,  
არაფერი ქრის, რაც უნდა  
ვუთხრა, ჩემი შვილი ერთ  
ყურში შეუშვებს და მე-  
ორედან გამოუშვებს.

მასწავლებელი აწყვეტი-  
ნებს:

— მაპატიეთ, ბატონო  
ჩემო, მაგრამ უნდა გი-  
თხრათ, რომ სცდებით,  
რადგანაც ვაკუუმში ბგერა

არ ვრცელდება.

☺ ☺ ☺

მამა: ტომ შვილო,  
დღეს შენს მასწავლე-  
ბელს ველაპარაკე. ახლა  
კი შენ მითხარი, ვინ  
არის ყველაზე ზარმაცი  
თქვენს კლასში?

ტომი: მე რა ვიცი,  
მამა!

მამა: როგორ არ იცი!  
აბა, კარგად დაფიქრდი!  
როცა დანარჩენები წე-  
რენ ან კითხულობენ, ვინ  
არის ის, ვინც არც წერს,  
არც კითხულობს და  
სხვებს უყურებს, როგორ  
მუშაობენ?

ტომი: ჩემი მასწავლე-  
ბელი.

☺ ☺ ☺

— მთელიდან ოთხჯერ  
რომ მეოთხედი ავიღოთ,  
რამდენი დარჩება? — ჰკი-  
თხა მასწავლებელმა მა-  
ქსს.

მაქსმა დუმილით უპა-  
სუხა.

— აი, მეც მოგეხმარები,  
აბა შეხედე: ქლიავს ვჭრი  
ოთხ ნაწილად და მერე  
ოთხივე ნაწილს ვიღებ, რა  
რჩება?

— კურკა, ბატონო მა-  
სწავლებელო, — წამოიძახა  
სახეგაბრწყინებულმა ბი-  
ჭუნამ.



# შერიყილოები

## „ღვინო მართლაც დიდებულია!“

გალილეო გალილეი მის მიერ გამოგონილ თერმომეტრებს სინდიყით ან სპირტით კი არ აკესებდა, არამედ ღვინით. ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო დიდმა იტალიელმა ინგლისში გაუგზავნა თავის კოლეგას. მან თერმომეტრს თან აახლა ბარათი, რომელშიც ხელსაწყოს დანიშნულება იყო ახსნილი. ეტყობა, ბარათი გზაში დაიკარგა ან აღრესატმა მისი არსი ვერ გაიგო. ასე იყო თუ ისე, მცირე ხნის შემდეგ გალილეიმ კოლეგის მოულოდნელი პასუხი მიიღო: „ღვინო მართლაც დიდებულია! თუ შეგიძლია, კიდევ გამომიგზავნე!“



ძალიან უყვარდა ციფრი „ოთხი“. მას ჰქონდა ოთხი დედაქალაქი, თითოეულ მათგანში ოთხი დიდმთავრიდან ერთ-ერთი იჯდა. იმპერატორი ოთხ სასახლეში ცხოვრობდა, თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი ოთახი ეკავა. ოთახებში შესაბამისად ოთხ-ოთხი ფანჯარა, ოთხ-ოთხი კარი, ოთხ-ოთხი მაგიდა და ოთხ-ოთხი ლამპარი იყო.


თავის იმპერია კარლოსმა ოთხ ნაწილად დაყო, არმია – ოთხ კორპუსად.

მის კარეტაში ოთხი ცხენი იყო შებმული. იმპერატორი ოთხი ფერის ტანსაცმელს იცვამდა. კარლოსი ოთხ ენაზე ლაპარაკობდა. დღეში ოთხჯერ

ანთება დასჭირდა. ბრიოზიმ მას ასანთის კოლოფი გაუწოდა. პროფესორმა გაკურა ერთი ღერი, არ მყოფი ღერი აინთო, არც მესამე და არც მეოთხე. გაცოფებულმა პროფესორმა კბილების ღრჭილით უსაყვედურა მოსწავლეს: „რამდენჯერ გითხარით, ჩემი ლექციის დაწყებამდე ყველაფერი გულდასმით შეამოწმეთ-მეთქი?!“

„მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, – მიუგო ბრიოზიმ. – მე სწორედ ასე მოვიქციე: შემოწმებისას ასანთის ყველა ეს ღერი მშვენიერად აინთო“...

## დალაქი მათემატიკოსი



ბევრი დიდი მეცნიერი თავიდან სხვა პროფესიას მისდევდა. მაგალითად, მათემატიკოსი ფერმა იურისტი იყო, ფიზიკოსი ჯოული – მელუდე, ფილოსოფოსი დეკარტი – სამხედრო.

როცა მათემატიკოს პუასონს ჰკითხეს, რომელმა მათგანმა მიატოვა ყველაზე შემოსავლიანი ხელობა მეცნიერების გულისთვის მან უპასუხა:

– მე! ახალგაზრდობაში მე დალაქობას ვსწავლობდი.

## ამჟერის პირველი აღმოჩენა

ერთხელ ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი ამპერი მეგობართან ერთად სენის სანაპიროზე სეირნობდა. მეგობარმა ხუმრობით ცხვირზე სათვალე წამოაცვა. უცრად ამპერის ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, გაცოცხლდა, ახალი, მკაფიო ფორმები შეიძინა. თურმე მანამდე ამპერს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცუდად ხელავდა.



დიდი ფიზიკოსის მეგობრები ამ შემთხვევას მის პირველ დიდ აღმოჩენას ეახლნენ.

# შერიყილოები


## სიტყვაქუნნი ნიუტონი



ნიუტონს არ უყვარდა ბევრი და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი. იგი ორი წელი ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთხელ ამოიღო ხმა. დიდმა ფიზიკოსმა მაშინაც პარლამენტის მსახურს მიმართა: „თუ შეიძლება, ფანჯარა დახურეთ – უბერავს“.

## კარლოს IV-ს საყვარელი ოთხიანი

„რომის წმინდა იმპერიის“ იმპერატორს კარლოს მეოთხეს რატომღაც



ჰამდა. მისი საჭმელი ოთხი თავი კერძისაგან შედგებოდა, საჭმელს იმპერატორი ოთხგვარ ღვინოს აყოლებდა.

კარლოს მეოთხემ ოთხჯერ იქორწინა, ამ ქორწინებებიდან მას ოთხი შვილი ჰყავდა.

მომაკვლავი იმპერატორის სარეცელთან ოთხი ექიმი და ოთხი მოძღვარი იმყოფებოდა. ყოველი მათგანი ოთხ ენაზე წერდა ოთხიდან ერთ-ერთ ანდერძს.

კარლოს მეოთხე 1378 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა ოთხ საათზე.

## როგორ უნდა შეიზნადეს ასანთი



სახელგანთქმული ბოტანიკოსი ბრიოზი სიჭაბუკეში ერთ ფიც პროფესორთან სწავლობდა. ფხუკიანი პროფესორი ნებისმიერ წრილმანებზე აპი-


ლპილდებოდა ხოლმე: „რატომ ყველაფერი წინდაწინვე არ მოამზადეთ? რატომ ყველაფერი ადრე არ გასინჯეთ?!“ ერთხელაც პროფესორს სანთურის



# იწილთ – მიწილთ



## კრასვლანთაი




### თარაზულად:


5. საუბარი რამდენიმე პირს შორის; 6. სუბტროპიკული მცენარე; 9. საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა; 10. დესპოტიზმი; 12. შეტყობინება, უწყება; 16. ხმოვანთმონაცვლეობა; 18. სახელმწიფო; 19. აფრიკის ცხოველი; 20. ოპტიკური მინა; 21. ხორცოვან-ფოთლოვანი მცენარე მუქსიკაში; 25. ზოროასტრის სარწმუნოების წმინდა წიგნების კრებული; 26. მისაღები თანხის ნაწილი; 27. ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 30. საუბრის დროებითი შეწყვეტა; 31. წონის ერთეული ძველ რომში; 32. კანფეტი.

### შვეულად:


1. ქიმიური ელემენტი; 2. უკრაინის დედაქალაქი; 3. მორიგეობა გემზე; 4. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 7. ლითონის ჭურჭელი; 8. ერთგვარი ქსოვილი; 11. ტექსტის ნაწილი; 13. ქართლის ძველი სამეფო; 14. ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოღუჭება; 15. პორიზონტალური კოორდინატი; 17. ოპტიკური ხელსაწყო; 20. კომპოზიტორი; 22. ტროპიკული მცენარე; 23. სახელმწიფო ევროპაში; 24. ცეცხლგამძლე თიხა; 29. სახელმწიფო აზიაში; 30. სისხლძარღვთა კედლების ძეგრა.



შინ მიმავალ ფვანჩალას გზაზე კატა და შურდულიანი ბიჭი ჩასაფრებიან. დაეხმარეთ ფრინველს თავი აარიდოს ერთსაც და მეორესაც და უსაფრთხოდ მიაღწიოს სახლს



იპოვეთ ნახატზე ორი სრულიად ერთნაირი პეპელა



თუ ბოლოებს გავწვეთ, აქ დახატული ხუთი ნასკვიდან სამი შეიკვრება, ორი კი გაიხსნება რომლები?



# საით მიქრის შავი რაში

რატომ არის წლევეანდელი წელი მაინცდამაინც ცხენისა? და რას გვიქადის იგი?

ტრადიციული ჩინური კალენდრით, ცხენის წელიწადი 2002 წლის 12 თებერვალს იწყება. ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ბაიიუნგუანის კუჩაზე თეთრ დრუბელთა საგანის მოხატულ ჭიშკართან პატარა სკამზე ზის ჩვენი დროის გამოჩენილი წინასწარმეტყველი და ქირომანტი ცჟოუ გუნი, რომელიც ყველა მსურველს სიამოვნებით პასუხობს კითხვებზე, საით მიქრის ცხენი,

სად ექნება დასაბამი მის ჭკუნებას?

უწინარეს ყოვლისა, ბრძენი ჩინელი წინასწარმეტყველი შეგვახსენებს, რომ ჩინური ზოდიაქოს ნიშანთა წყებაში ცხენი მეშვიდე სიმბოლოა, რომელიც შეესაბამება ციკლურ ნიშანს „უ“. დღე-ღამეში ცხენის დროა დღის 11-დან 13 საათამდე და ჩინეთში ამ ორ საათს ხშირად „ცხენისას“ უწოდებენ. სხვათა შორის, ჩინელები სწორედ ამ დროს სადილობენ.

თქმულებების თანახმად, ოდე-

სლაც ცხენს ორი ფრთა ჰქონია და მას „ტიანმა“ („ციური ცხენი“) ერქვა. ტიანა დედამიწაზეც დაქროდა, ტალღებშიც ცურავდა და დრუბლებშიც დაფრინავდა. ამ თვისებებს წყლობით ცხენი ჩინელთა ზღაპრული პანთეონის უზენაესი ღვთაების – ნეფრიტის მეუფის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი რაში გახდა. მაგრამ სწორედ მაღალმა თანამდებობრივმა მღვთმარეობამ დაღუპა ცხენი. ვერ შეიფერა, გაამპარტაუნდა და თავებობითა და კადნიერებით ზეციურ სასახლეში განხეთქილების და თესვას მოჰყვა. იქიდან კი საბოლოოდ გათავხედებული ცხოველი აღმოსავლეთ ზღვისკენ გაფრინდა ზღვათა დრაკონის სასახლეში და იქ მცველებს – გიგანტურ კუებსა და ლანგუსტებს შეება. ნეფრიტის მეუფემ არ აპატია თავაშევებულ ცხოველს ამგვარი კადნიერება... და ცხენისთვის ფრთების სამუდამოდ ჩამორთმევა ბრძანა, გარდა ამისა, მისივე განკარგულებით, ცხენი სამასი წლით კუნდუნის მთებში გამოამწყვდიეს. სწორედ იქ შეხვდა ცხენს მითიური პირველი ადამიანი, რომლის შთამომავლებს იგი დღესაც ემსახურება.

ჩინელებს ცხენი ერთგულ და საიმედო მეგობრად და შემწედ მიაჩნიათ. მათი თქმით, ცხენი ჭკვიანი, შრომისმოყვარე და ნაკლებმომთხოვნი ცხოველია, იგი ერთნაირად სასარგებლოა მინდორშიც, ნადირობის დროსაც, მოგზაურობაშიც და ბრძოლაშიც. ცხენის წელს დაბადებული ადამიანები, როგორც წესი, გართემო მყოფთა სიმპათიებით სარგებლობენ. მათ ახასიათებთ თანაგრძნობის უნარი, სიყვარულში ისინი საუკეთესო თვისებებს ავლენენ. სხვა ადამიანებთან შედარებით ისინი განსაკუთრებული უპირატესობებით არიან დაჯილდოებულნი, თუმცა გარჯა თვითონაც საკმარისად უწევთ.

